პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი №76 (11382) | ხუთშაბათი, 2 აპრილი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

სრული მეტალურგიული ციკლით

რუსთავი. (საკ. კორ.). ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა 31 მარტს პირველ ცვლაში შეასრულა პირველი კვარტლის საწარმოო დავალება. პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია სრული მეტალურგიული ციკლით, მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებები პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის საქმეში.

ამ წარმატებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი წვრილსორტული და ფურცელსაგლინავი საამქროების კოლექტივებმა. პირველმა კვარტალური გეგმა შეასრულა 28 მარტისათვის, ხოლო მეორემ — 29 მარტისათვის. მარტენის საამქროს კოლექტივმა კვარტალური გეგმის გადამეტებით გამოუშვა ათასობით ტონა ფოლადი.

ქარხანაში ახალი ძალით ჩაღდება საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება. აპრილის პირველი დღე ყველა საამქროში მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით აღინიშნა. გეგმის ზევით გამოშვებულ იქნა დიდძალი ფოლადი, თუჯი ნაგლინი და სხვა პროდუქცია.

ამას მოითხოვს ხალხთა ინტერესები

საბჭოთა მთავრობის განცხადება ნატოს საბჭოს მორიგ სესიასთან დაკავშირებით, რომელიც შეფარდებულია ამ ორგანიზაციის შექმნის მეათე წლისთავთან, და საბჭოთა მთავრობის ნოტები ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობებისადმი საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირისა და უმაღლეს დონეზე თათბირის მოწყობის საკითხზე ამყამად მსოფლიო საზოგადოებრიობის უურადღების ცენტრშია. ეს დოკუმენტები მკვეთრმეტყველურად მოწმობენ, რომ საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, ყველაფერს აკეთებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა მთავრობის განცხადებაში ზუსტად არის დახასიათებული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკი, როგორც ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს ძალმომრეობით დაამყაროს ამ ბლოკის მონაწილე ერთი-ორი სახელმწიფოს მსოფლიო ბატონობა და ამით ემსახურება ახალი ომის გაჩაღების მიზნებს. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ახლა სულ უფრო ხმამაღალა ვაისმის მოთხოვნები, რომ სახელმწიფოებმა შეწყვიტონ უაზრო გამალებული შეიარაღება, უარი თქვან „ცივ ომზე", მტკიცედ დაადგნენ მშვიდობიანი თანაარსებობისა და ფართო თანამშრომლობის გზას. ამ მიზნით საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ უკვე უახლოეს დროში შეიძლება გადაიდგას ისეთი ნაბიჯები, როგორიც არის ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციას შორის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადება, ნატოს მონაწილე ქვეყნებსა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს შორის შეთანხმების მიღწევა იმის შესახებ, რომ არ გაუწიონ დახმარება აგრესორს, ევროპის ცენტრში ატომგულისა და რაკეტული იარაღის საშიში დაგროვების თავიდან აცილების ამოცანის გადაჭრა. საბჭოთა მთავრობა მზად არის აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების შეიარაღებული ძალების დაშორიშორების ან ჯარებისა და შეიარაღების შეზღუდვის ზონის საკითხის განხილვაში.

ასეთი ღონისძიების საჭიროება, ნათქვამი იყო საბჭოთა მთავრობის 29 მარტის განცხადებაში, სულ უფრო აშკარა ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ორგანიზაციათა შეიარაღებული ძალების პირსაპირ დგომა შეიცავს შეტაკებების, საშიში ინციდენტებისა და კონფლიქტების მუდმივ საფრთხეს. გარდა ამისა, საბჭოთა მთავრობას არაერთხელ მიუქცევია სხვა დაინტერესებული სახელმწიფოების ყურადღება იმისათვის, რომ საჭიროა გადაიჭრას ისეთი მომწიფებული საკითხები, როგორიც არის ატომგულის იარაღის სრული აკრძალვა და ამოღება სახელმწიფოთა შეიარაღებიდან და სახელმწიფოთა ჩვეულებრივი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების არსებითი შემცირების საკითხი. საბჭოთა კავშირი პირველ ნაბიჯად ამ მიმართულებით სახავს იმას, რომ დაუყოვნებლივ მიღწეულ იქნას შეთანხმება ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის სამუდამოდ შეწყვეტის შესახებ.

საბჭოთა მთავრობამ ახალი წვლილი შეიტანა მშვიდობის განმტკიცების საქმეში თავისი ნოტებით საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირისა და უმაღლეს დონეზე თათბირის მოწყობის საკითხზე. მან ქმაყოფილებით აღნიშნა, რომ მიღწეული შეთანხმება — დაიწყოს მომწიფებული საერთაშორისო საკითხების გადაჭრა საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე და უმაღლესი დონის თათბირზე ხელს შეუწყობს მთელი საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებას, რასაც მუდამ ახმარდა თავის ღონისძიებებს საბჭოთა კავშირი.

საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე განხილულ იქნება საკითხები, რომლებიც გერმანიას ეხება, მათ შორის გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისა და ბერლინის საკითხები. ორივე ეს კონკრეტული საკითხი უკვე დიდი ხანია მოელის გადაჭრას. დათანხმდა რა ამ პრობლემების განხილვაზე, საბჭოთა მთავრობამ ამავე დროს სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ჯერ არ არის მიღწეული სრული ურთიერთგაგება საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მონაწილეობის შესახებ. გაითვალისწინა რა დასავლეთის სამი სახელმწიფოს პოზიციები, საბჭოთა მთავრობამ შესაძლოდ ცნო, რომ ეს საკითხი გადაწყდეს თათბირზე. ცნობილია, რომ პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია — გერმანიის მეზობელი სახელმწიფოები — ჰიტლერული აგრესიის პირველი მსხვერპლი გახდნენ, და ისინი უაღრესად დაინტერესებული არიან თათბირის დღის წესრიგში დასმული საკითხების გადაჭრით.

ახლა ძალიან ცოტაა ისეთი ადამიანი, რომელსაც არ ესმოდეს, რომ მშვიდობა ევროპის კონტინენტზე შეუძლებელია უზრუნველყოფილ იქნას, თუ არ გადაწყდა ევროპის ცენტრალური საკითხი — გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების საკითხი. საბჭოთა მთავრობის 29 მარტის განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მომზადება და დადება ამჟამად ყველაზე საარსებო და გადაუდებელი ამოცანაა. მართლაც, შეიქმნა არანორმალური და შეუწყნარებელი მდგომარეობა: მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გავიდა თითქმის 14 წელი, ხოლო გერმანელ ხალხს ჯერ კიდევ არა აქვს საზავო ხელშეკრულება, არა აქვს შესაძლებლობა მთლიანად განაზორციელოს თავისი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი.

საზავო ხელშეკრულების დადება ბოლოს მოუღებდა ამბების საშიშ განვითარებას დასავლეთ გერმანიაში, სადაც კვლავ წამოჰყვეს თავი მილიტარისტულმა ძალებმა, სადაც პასუხისმგებელი მოღვაწეები კვლავ იწყებენ ლაპარაკს „აღმოსავლეთისაკენ შეტევის" პოლიტიკაზე, რევანშზე, საზღვრების გადასინჯვაზე. ეს მილიტარისტული ძალები, რომლებიც გაიცოცხლა ამერიკის იმპერიალიზმის პოლიტიკამ, ხელი იგდებენ მბრძანებელ პოსტებს ატლანტიკის ბლოკში, იკეთებენ რა „ევროპის ერთიანობის მომხრეთა" და „დასავლეთის ცივილიზაციის დამცველთა" ნიღაბს.

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება შეუძლებელს გახდიდა გერმანიის მილიტარიზმის გამოყენებას რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ და დაეხმარებოდა ორივე გერმანულ სახელმწიფოს — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას — მათი ძირითადი ამოცანის გადაჭრაში — გერმანიის გაერთიანებაში მშვიდობიან და დემოკრატიულ საფუძველზე.

მშვიდობის საქმისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ბერლინის პრობლემის მოწესრიგებას. ახლა უკვე არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ დასავლეთ ბერლინში შექმნილი სიტუაცია ხერხიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმესა და ევროპის უშიშროებას. დასავლეთ ბერლინში ოკუპაციის რეჟიმის ლიკვიდაციასა და მისთვის დემილიტარიზებული თავისუფალი ქალაქის სტატუტის მინიჭებას, რომლის დაცვაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებდა გაერთიანებული ევროპის ორგანიზაცია, მოაყვეთოდა ის, რომ ეს ქალაქი საშიში კონფლიქტების კერიდან გადაიქცეოდა მშვიდობისა და მეუფლოების ქალაქად.

ცხადია, ყველა მოწიფებული საკითხი ერთბაშად ვერ გადაიჭრება. საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი ჟენევაში მოწოდებულია პირველი ნაბიჯი გადადგას ამ გზაზე. მთელი მსოფლიოს ხალხები დაინტერესებული არიან იმით, რომ ბოლო მოეღოს „ცივ ომს", რომ საერთაშორისო ვითარება გაუმჯობესდეს, რომ შეიარაღებული კონფლიქტის საფრთხე დაძლეულ იქნას.

მსოფლიო საზოგადოებრიობა თავის გამოსმაურებაში საბჭოთა მთავრობის ახალ საშვიდობო ინიციატივაზე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შეტანილი წინადადებანი ცხადყოფენ სსრ კავშირის მისწრაფებას მიაღწიოს საერთაშორისო დაძაბულობის ნამდვილ შენელებას. აღნიშნავს რა, რომ „ძალის პოზიციის" პოლიტიკა გაკოტრდა, გაზეთი „უენინ ყიბაო" მოუწოდებს სახელმწიფოებს ბოლო მოუღონ გამალებულ შეიარაღებასა და „ცივ ომს". მრავალ გამოხმაურებაში სხვადასხვა ქვეყნიდან ხაზგასმით აღნიშნულია, რომ საბჭოთა ინიციატივას უკვე მოაჭვა საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესება. საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა სულ უფრო მეტ მოწონებას პოულობს ყველა ქვეყნის ხალხთა შორის. საერთაშორისო ატმოსფერო არა მარტო შეიძლება გაიწმინდოს, არამედ კიდევაც უნდა გაიწმინდოს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მშვიდობის საქმემ გაიმარჯვოს.

„პრავდის" I-IV მოწინავე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1959 წლის 31 მარტს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 88 წლის ასაკში გარდაიცვალა რევოლუციური მოძრაობის უხუცესი მოღვაწე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1893 წლიდან, გამოჩენილი მეცნიერი-ენერგეტიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი, აკადემიკოსი **გლებ მაქსიმილიანეს-ძე კრჟიჟანოვსკი.**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისაგან

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 31 მარტს 88 წლის ასაკში, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა სოციალისტური შრომის გმირი, აკადემიკოსი

გლებ მაქსიმილიანეს-ძე კრჟიჟანოვსკი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1893 წლიდან, გამოჩენილი მეცნიერი და ინჟინერ-ენერგეტიკოსი, გოელროს გეგმის შექმნის მონაწილე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტის დირექტორი — და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ნათესავებს.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების მეშვიდე მოწვევის საქალაქო საბჭოს პირველი სესია

31 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების მეშვიდე მოწვევის საქალაქო საბჭოს პირველი სესია.

სესია გახსნა უხუცესმა დეპუტატმა, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ პ. გ. ბუაჩიძემ. მან თქვა, რომ ადგილობრივი საბჭოების არჩევნებმა ჩაიარა დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, ამომრჩეველთა მაღალი აქტივობითა და ორგანიზებულობით.

იბრძვიან რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, თბილისის მშრომელები მთელ ქართველ ხალხთან ერთად ამრავლებენ თავიანთ ღონისძიებებს კომუნისტური მშენებლობის ახალი წარმატებისათვის ბრძოლაში.

მშრომელთა დეპუტატების მეშვიდე მოწვევის საქალაქო საბჭოს პირველი სესიის თავჯდომარედ არჩეულ იქნა დეპუტატი ვ. მ. სირაძე, მდივნად — დეპუტატი ვ. ტ. თურმანიძე.

საქალაქო საბჭოს სესიის განსახილველად შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. სამანდატო კომისიის არჩევნები და მისი ანგარიშის განხილვა.

2. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა.

3. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების შექმნა და მათი გამგეებისა და უფროსების დამტკიცება.

4. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მუდმივი კომისიების შექმნა.

სესიამ მოისმინა სამანდატო კომისიის თავჯდომარის დეპუტატ კ. ნ. გოგლიძის მოხსენება. მან გამოაცხადა არჩეულ დეპუტატთა რწმუნებების შემოწმების შედეგები.

თბილისის საქალაქო საბჭოს არჩეული დეპუტატები არიან კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატები, მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის, საბჭოთა არმიის მეომართა ღირსეული წარმომადგენლები. სულ არჩეულია 476 დეპუტატი, 21 დეპუტატთ მეტი, ვიდრე წინა მოწვევის დროს. მათ შორის 286 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი და წევრობის კანდიდატია, 192 ქალია, 216 კაცი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

სესიამ დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება და ცნო ახლად არჩეული დეპუტატების რწმუნებათა სისწორე.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ გ. ა. გეგეშიძეს. მან წამოაყენა წინადადება არჩეულ იქნას თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი 21 კაცის შემადგენლობით. ეს წინადადება მიღებულია.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარედ სესიამ აირჩია დეპუტატი ა. ე. მელაძე.

საქალაქო საბჭოს თავჯდომარის პირველ მოადგილედ არჩეულია დეპუტატი გ. ს. ვაშაკიძე, საქალაქო საბჭოს თავჯდომარის მოადგილეებად — დეპუტატები ბ. ნ. გრიგალაშვილი და ბ. ე. ლომაძე.

აღმასრულებელი კომიტეტის მდივნად არჩეულია დეპუტატი შ. რ. ბაჭრაძე.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრებად არჩეული არიან დეპუტატები ვ. ა. გეგეშიძე, გ. ლ. ბერიაძე, ი. კ. გაიდაში, ი. მ. გეტაშვილი, ვ. ზ. გულისაშვილი, ვ. თ. ზაქარიაძე, ც. ი. კვირიკაშვილი, თ. მ. მათიაშვილი, ვ. ქ. მარშანია, ზ. ვ. მიშველიძე, გ. ი. მშვიდობაძე, ლ. ს. პეტროსიანი, კ. გ. სოხიაძე, ი. ნ. ჩხენკელი, ჰ. გ. ღვალაძე, ა. პ. ძრიელიშვილი.

დეპუტატ ა. ე. მელაძის წინადადებით იქმნება თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 11 განყოფილება და 14 სამმართველო, მტკიცდება მათი გამგეები და უფროსები.

სესიამ შექმნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს 14 მუდმივი კომისია და დაამტკიცა მათი შემადგენლობანი.

ამით თბილისის მშრომელთა დეპუტატების მეშვიდე მოწვევის საქალაქო საბჭოს პირველმა სესიამ დაამთავრა მუშაობა.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავჯდომარე მ. დ. ჩუბინიძე. (საქდესი).

კალკუტას გაემგზავრა აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის დელეგაცია

31 მარტს აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის ინდოეთის ასოციაციის მიწვევით მოსკოვიდან კალკუტას გაფრინდა აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის დელეგაცია. მის შემადგენლობაში არიან სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ა. ხორავა (დელეგაციის მეთაური), თურქმენეთის სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი დ. ნ. ნებესოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ინდოეთის სექტორის გამგე ე. ბ. ჩელიშევი და სხვები.

საბჭოთა სტუმრები დაესწრებიან აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის ინდოეთის ასოციაციის ეროვნულ კონფერენციას. (საკდესი).

საბჭოთა ქალების წარმომადგენლები ამერიკის შეერთებულ შტატებზე გაემგზავრნენ

31 მარტს ამერიკელი ქალების ეროვნული საბჭოს მიწვევით მოსკოვიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრნენ საბჭოთა ქალების წარმომადგენელნი ო. ხვალენოვა (საბჭოთა ქალების კომიტეტის თავჯდომარის მოადგილე) და ნ. ორლოვა (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი). უპასუხა რა პრესის წარმომადგენელთა კითხვებზე გამგზავრების მიზნების შესახებ, ო. ხვალენოვამ წასვლის წინ განაცხადა:

— ჩვენ მეგობრული კონტაქტი უნდა დავამყაროთ ამერიკის შეერთებული შტატების ქალთა ორგანიზაციებთან და მათი მეშვეობით ამერიკელ ქალებთან, გავეცნოთ მათ ცხოვრებასა და მუშაობას. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი გამგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისევე როგორც ამერიკელ ქალთა ეროვნული საბჭოს წარმომადგენლების მომავალი ჩამოსვლა სსრ კავშირში, ხელს შეუწყობს ურთიერთგაგებას ჩვენი ქვეყნების ხალხებს შორის და მშვიდობიანი თანამშრომლობის განმტკიცებას საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის. (საკდესი).

ქერის თესვა მაღალმთიან რაიონში

ახალციხე. (საკ. კორ.). დაბა ვალეს, აწყურის, გიორგიწმინდის, აგარის, საყუნეთის კოლმეურნეობებში დროულად მოიმარაგეს და სათეს კონდიციამდე აიყვანეს თესლი, შეაკეთეს ტრაქტორები, იარაღ-მანქანები და პირველნი შეუდგნენ საგაზაფხულო თესვას.

ვიორგიწმინდელებმა პირველ დღეს 10 ჰექტარი გაზაფხულის ქერი დათესეს.

პირველ დღეს საყუნეთის კოლმეურნეობაში 12 ჰექტარი ქერი დაითესა, ხოლო აწყურის კოლმეურნეობაში — 15 ჰექტარი.

ამ კოლმეურნეობათა მშრომელების გადაწყვეტილებაა შეიდწლედის პირველ წელს საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 25 ცენტნერი გაზაფხულის ქერი, 170 ცენტნერი კარტოფილი და 30 ცენტნერი სიმინდი.

დაიწყო სიმინდის თესვა

ყვარელი. (ტელეფონით). რაიონში პირველმა ახალოფლის მარჯანიშვილის სახელობის კოლმეურნეობამ დაიწყო სიმინდის თესვა. ტრაქტორისტმა ვ. სუოგაოლაძემ და მთესავმა გ. არაქელოვამ პირველ დღეს კვადრატულ-ბუდობრივად დათესეს 16 ჰექტარი სიმინდი.

თესვას მაღე შეუდგებიან გავაზის ენგელსის სახელობის, ყვარლის ი. ჭავჭავაძის სახელობის და სოფელ სანავარდოს კოლმეურნეობები.

დრო არ ითმენს

ტყიბულის რაიონში ვარაუდობენ წელს საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 3 ცენტნერით მეტი სიმინდი, ვიდრე გასულ წელს. ასევე გაიზრდება სოიის, ლობიოს და ბოსტნეულის მოსავალი. მოსავლიანობის კიდევ უფრო გადიდება შეიძლება, მაგრამ კოლმეურნეობებს არ ჰყოფნით ორგანული სასუქი. რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა იქ საკითხი არაერთხელ დააყენეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინაშე, მაგრამ დახმარება არა ჩანს.

კოლმეურნეობები ცუდად მარაგდებიან, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მანქანებითა და იარაღებით. მრავალ კოლმეურნეობას სურს შეიძინოს ტრაქტორი. საამისო სახსრებიც აქვთ, მაგრამ ტრაქტორს ვერ შოულობენ. გამოყოფილი 7 ტრაქტორიდან რაიონმა წელს მხოლოდ 3 მიიღო.

რაიონში თესვა სულ მაღე დაიწყება, ყველა კოლმეურნეობა კი მზად არ არის საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებისათვის. სოფელ მუხურის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაში (თავჯდომარე დ. აბესაძე) აკლიათ 20 ცენტნერი სიმინდის თესლი. კოლმეურნეობას სრულებით არა აქვს სოიის თესლი, ხოლო ლობიოს თესლი აკლიათ 1,58 ცენტნერი. ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არც მუხურის 26 კომისრის სახელობის ძიროვნის, ცუცხვათის, ჯვარისის, სოჩხეთის და ძმუისს კოლმეურნეობებშია.

დრო არ ითმენს. მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყოველი დღე და საათი თესვისთვის მოსამზადებლად.

ბ. ქათამაძე, ა. ქათამაძე — სოფელ საწირის კოლმეურნეობის წევრები,

ვ. ცირკაიძე,

„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.



სურათზე: მცხეთის რაიონის სოფელ ძალისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი ციალა გელაშვილი და მთესავი აქვსენტი სარძიშვილი სათესში ყრიან საკვები ჭარხლის თესლს.

ფოტო ი. დავითაშვილისა.

ა. გიტალოვის მეთოდით

ქარელი. (ტელეფონით). გაჭიანურებულმა ზამთარმა ერთგვარად შეაფერხა შაქრის ჭარხლის თესვა. მაგრამ როგორც კი გამოიდარა, ეს სამუშაო ფართოდ გაიშალა. 30 მარტისათვის რაიონში უკვე დათესილი იყო 400 ჰექტარი.

მოწინავე კოლმეურნეობები შაქრის ჭარხლის თესვის პარალელურად შეუდგნენ ხეხილის ბაღების გაშენებასაც. ბრეთის კოლმეურნეობამ ხილის ბაღი უკვე გააშენა 10 ჰექტარზე, მოხისის და დირბის კოლმეურნეობებმა — 20-20 ჰექტარზე თვითეულმა.

დღითიდღე აფართოებს შრომის ფრონტს ჭარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც გ. სიხაშვილი ხელმძღვანელობს. ამხ. სიხაშვილი მიმდინარე წლის თებერვალში სხვა ქართველ მექანიზატორებთან ერთად იყო უკრაინის სსრ კიროვოგრადის ოლქის ნოვოუკრაინკის რაიონის XX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც მუშაობს ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, ცნობილი მექანიზატორი ალექსანდრე გიტალოვი.

აქ ქართველი მექანიზატორები გაეცნენ ა. გიტალოვის სატრაქტორო ბრიგადის გამოცდილებას სიმინდის, მზესუმზირას და შაქრის ჭარხლის მოყვანის სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის საქმეში.

გ. სიხაშვილმა უკრაინიდან დაბრუნებისთანავე თავის ბრიგადაში შექმნა ერთი მექანიზებული აგრეგატი, რომელზეც იმუშავებენ ტრაქტორისტები ს. ეკალაძე, ჭ. ირემაძე და მიმშვილი ი. ნადირაშვილი. აგრეგატის შემადგენლობა უკვე გავიდა სამუშაოდ. აგრეგატის კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ 100 ჰექტარზე მაღალ აგროტექნიკურ დონეზე კვადრატულ-ბუდობრივად დათესოს სიმინდი და ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანოს 30 ცენტნერი მარცვალი, შაქრის ჭარხლის ნათესის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 500 ცენტნერი ნაცვლად 310 ცენტნერისა. ყველა ძირითადი სამუშაოს — ხვნას, თესვას და დამუშავებას აგრეგატის კოლექტივი მხოლოდ თავისი ძალებით შეასრულებს.

გაზაფხული წალკაში

წალკის რაიონში საშემოდგომო ხორბალი არ ხარობს. ძირითადად საგაზაფხულო ხორბალი მოჰყავთ. ამიტომ გაზაფხული ყოველთვის მეტად დაძაბულია. მაგალითად, წელს რაიონში 12.995 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები დათესეს. აქედან გაზაფხულიან ხორბალი 4.286 ჰექტარზე, ქერი 3.508 ჰექტარზე, კარტოფილი 2.500 ჰექტარზე.

წალკის სარემონტო-ტექნიკურმა სადგურმა შეაკეთა და მწყობრში ჩააყენა 95 ტრაქტორი და მრავალი მისაბმელი მანქანა-იარაღი. მაღე ისინი მინდვრად. გავლენ. ჩაყრილია რაიონში 19.640 ცენტნერი თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესლი. სათეს კონდიციამდე აყვანილია 17.107 ცენტნერი. დიდი რაოდენობით ირგვება კარტოფილი. კოლმეურნეობები უზრუნველყოფილი არიან სარგავი მასალით. ამ მიზნით კოლმეურნეობებს აქვთ 69.133 ცენტნერი კარტოფილი.

მზრალად მოხნულზე დათესილი საგაზაფხულო კულტურები უხვ მოსავალს იძლევიან. ამიტომ წელს რაიონში მზრალზე დათესილება 10.630 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები.

რ. ზეინაძე,

„კომუნისტის" სპეც. კორ.

სსრ კავშირის პროფკავშირების XII ყრილობის რეზოლუცია

ამხ. ვ. ვ. გრიშინის მოხსენების გამო „საკავშირო პროფსაბჭოს მუშაობის ანგარიში და პროფესიული კავშირების ამოცანები სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით"

სსრ კავშირის პროფესიული კავშირების მეთორმეტე ყრილობა, ნათქვამია რეზოლუციაში, შეიკრება ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადწყვეტილებებით აღფრთოვანებული, უდიდესი ენთუზიაზმით შეუდგა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის შესრულებას.

პარტიის XXI ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, მის მიერ დასახულმა გრანდიოზულმა ამოცანებმა გამოიწვიეს მთელი საბჭოთა ხალხის უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა. საწარმოებისა და მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ათასობით კოლექტივი კისრულობს ვალდებულებებს 5-6 წლიწადში შეასრულონ შვიდწლიანი გეგმის დავალებანი. ფართოდ გაიშალა ბრძოლა 1959 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. პროფესიული კავშირების უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა ის, რომ საბჭოთა კავშირის ყველა მუშა, ინჟინერი, ტექნიკოსი, მოსამსახურე, ყველა მშრომელი ჩაბან საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, აღნიშნული ყრილობის რეზოლუციაში, უნდა გამოიჩინონ მეტი ზრუნვა იმისათვის, რომ შეჯიბრება იყოს მასობრივი, ჰქონდეს კონკრეტული ხასიათი. სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციას საფუძვლად უნდა დაედოს ლენინური პრინციპები: სიჯარობა, შედეგების შესადარება, გამოცდილების პრაქტიკული გამეორების შესაძლებლობა და ამხანაგური ურთიერთდახმარება. ყრილობას საჭიროდ მიაჩნია სამეურნეო ხელმძღვანელების, საწარმოთა და მშენებლობათა პროფკავშირული ორგანიზაციების, აგრეთვე შეჯიბრების ყველა მონაწილის მთავარი ღონისძიებანი წარიმართოს ნაკისრ ვალდებულებათა უთუოდ შესრულებისათვის.

ყრილობის გადაწყვეტილებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ამჟამად პროფკავშირული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა ის, რომ საბჭოთა ხალხის მთელი შრომითი ღონისძიებანი წარმართონ 1959 წლის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესასრულებლად. პროფკავშირული ორგანიზაციები მოწოდებული არიან სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მიაღწიონ იმას, რომ სახელმწიფო გეგმები ყოველთვიურად, ყოველდღე შესასრულოს ყოველმა საამქრომ, უბანმა, ბრიგადამ ყველა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლის მიხედვით.

ყრილობა ავალებს პროფკავშირულ ორგანიზაციებს გაშალონ ბრძოლა იმისათვის, რომ მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდეს შვიდწლედის დავალებანი შრომის ნაყოფიერების ზრდის დარგში, რომელიც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობის გადამწყვეტი პირობაა, აგრეთვე მიიღონ ენერგიული ღონისძიებანი პროდუქციის თვითღირებულების შემცირების იმ დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია შვიდწლიანი გეგმით. ყრილობა ავალებს საკავშირო პროფსაბჭოს, პროფკავშირთა საბჭოებს, ცენტრალურ, რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს სათავეში ჩაუდგნენ პარტიის XXI ყრილობის შემდეგ დაწყებულ საყოველთაო-სახალხო ლაშქრობას ეკონომიისა და ყაირათიანობისათვის.

პროფკავშირებმა უფრო აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების მუშაობაში წარმოების საკითხების განსახილველად, გამოიჩინონ მეტი ინიციატივა მათ წინაშე იმ უმნიშვნელოვანესი საკითხების დაყენებაში, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოო რეზერვების გამოყენებასთან. პროფკავშირთა უპირველესი მოვალეობაა ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესონ მუშაობა მოწინავე საწარმოო გამოცდილების გავრცელებისა და დანერგვისათვის.

პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანაა ყოველდღიურად გაუმჯობესონ მუდმივმქმედი საწარმო

მეგობართა შეჯიბრება დიადი ძალაა შვიდწლედის ვადამდე შესრულებაში

ჭიათურა — ნიკოპოლი

ქართველი და უკრაინელი მაღაროელების მეგობრობას ღრმად აქვს გადგმული ფესვები. ერთმანეთთან შეჯიბრებით, ერთმანეთის ძმური უანგარო დახმარებით, მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვით ისინი ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ სამშობლოს საკეთილდღეოდ გაჩაღებულ შრომაში.

ეს მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა ახლა, როცა საბჭოთა ხალხი ჩვეული ენთუზიაზმით და გმირული თავდადებით შეუდგა კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის შვიდწლიანი პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლას. პარტიის XXI ყრილობამ დიდი ამოცანები დასახა მარგანეცის მადნის მოპოვების გადიდების დარგში. ჭიათურელი და ნიკოპოლელი მაღაროელები ძალღონეს არ იშურებენ, რომ რაც შეიძლება მოკლე დროში სინამდვილედ აქციონ პარტიის გეგმები.

გუშინ ჩვენი კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა ქალაქებს მარგანეცსა და ჭიათურას. აპარატთან მოვიდა პარტიის მარგანეცის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ი. კომპანიეცი.

— უკრაინელმა მაღაროელებმა, — განაცხადა ამხ. ი. კომპანიეცმა, — ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით ამოიღონ სულ ცოტა 40 ათასი ტონა მარგანეცი და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად სამშობლოს მისცენ მილიონობით მანეთის ეკონომია. მარგანეცის მოპოვების მარტის დავალება 103 პროცენტით არის განაღდებული. დაწინაურდა ოქტომბრის 40 წლისთავის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელმაც მარტო მარტში გეგმის გადამეტებით 3.000 ტონაზე მეტი მარგანეცი ამოიღო.

ბეჯითად შრომობენ ჭიათურელი მაღაროელებიც, რომლებმაც წარმატებით გაანაღდეს პირველი კვარტალის გეგმა და სამშობლოს გეგმის გადამეტებით ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცი მისცეს.

ამ გვერდზე მოთხრობილია ქართველი და უკრაინელი მაღაროელების თავდადებულ შრომაზე, მეგობრული შეჯიბრების ცხოველმყოფელ ძალაზე, მათ ძმობასა და უანგარო დახმარებაზე ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის დიადი შვიდწლედის განხორციელებისათვის.

წინ არის

პირველი მოსახლე, რომელმაც აქ, ყვირილას ვიწრო ხეობაში დაიდო ფუძე, ალბათ ოცნებითაც ვერ წარმოიდგენდა, თუ ასე შეიცვლიდა სახეს ეს მიდამო. ახლა ყვირილას ხეობაში გაშენებული ქალაქი საქვეყნოდ არის განთქმული მაღალხარისხოვანი მარგანეცით, შესანიშნავი ადამიანებით, რომლებიც მაღაროებში თავდადებული შრომით ბუნების სიმდიდრეს ხალხის სამსახურში აყენებენ. დღეს ჭიათურას ამშვენებს საცხოვრებელი სახლების, სკოლების, კლუბების, სამკურნალო დაწესებულებების მრავალსართულიანი, კეთილმოწყობილი შენობები. ჭიათურელი მაღაროელები შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობენ.

წინ უფრო ნათელი მომავალია. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის. ეს ერთხელ კიდევ ცხადად დადასტურდა პარტიის XXI ყრილობაზე.

შვიდწლედში ჭიათურელი მაღაროელებისათვის, რომლებიც საქვეყნოდ განთქმულ მარგანეცის მადანს აწვდიან მეტალურგიულ გიგანტებს, აშენდება 141.200 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რაზეც 190 მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯება. დიდი ყურადღება მიექცევა აგრეთვე ინდივიდუალურ ბინათმშენებლობას. წარსულს ჩაბარდება ბინების სივიწროვე. მარტო მიმდინარე წელს ჭიათურელი მშრომელები 20 ათას კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს მიიღებენ. ახალი მაღაროების: „დარკვეთის", „მღვიმევ-ხრამის", „ზედა რგანის" და „მერევის" ტერიტორიებზე აშენდება მუშათა კეთილმოწყობილი დაბები, სადაც მაღაროელებისათვის მუშაობის, დასვენების, გართობის ყველა პირობა იქნება შექმნილი.

დიდი აპრსპექტივებია კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობის ხაზითაც. ქართველ მაღაროელთა ქალაქის მშვენება იქნება კულტურის სასახლე, რომელიც წელს გადაეცემა საექსპლოატაციოდ, აშენდება პიონერთა სასახლე, 10 ათას-ადგილიანი სტადიონი, 8 საშუალო სკოლა, ერთი ქალაქის ცენტრში 880 მოსწავლისათვის. ჭიათურელი მაღაროელები ნახავენ სატელევიზიო გადაცემებს. ამ მიზნით აშენდება სატელევიზიო გადაცემათა მიმღები კოშკი.

ელფერს შეიცვლის ქალაქის ქუჩები, მოეწყობა ახალი ბაღები, სკვერები, გადაკეთდება "მოსკოვისა და კომკავშირის ქუჩები, საჩხერე-ჭიათურის საავტომობილო გზა. ქალაქში, მუშათა დასახლებულ უბნებში და გზების გაყოლებით დაირგვება ათეულ ათასობით ფოთლოვანი და მარად მწვანე მცენარე.

მშრომელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველყოფისათვის ჭიათურაში აშენდება საკონსერვო ქარხანა, რომელიც წლიურად 2 მილიონ ქილაზე მეტ კონსერვს გამოუშვებს. აიგება აგრეთვე ავეჯის ფაბრიკა. ერთიორად და უფრო მეტად გაიზრდება ადგილობრივი მრეწველობის პროდუქციის გამოშვება, სალიერთის მარმარილოს კარიერი მშენებლებს ყოველწლიურად მიაწვდის 50.000 ტონა ძვირფას საშენ მასალას.

მკვეთრად გაუმჯობესდება მაღაროელთა ჯანმრთელობისა და დასვენების პირობები, გათვალისწინებულია მარგანეცის ტრესტის საავადმყოფოს, რომელიც ქალაქის ერთერთი უდიდესი სამკურნალო დაწესებულებაა, წელს შეემატოს 50 საწოლი, გაიხსნება ახალი სამშობიარო სახლი, საბავშვო ბაღი და ბაგა, ბავშვთა გამაჯანსაღებელი ბანაკი.

ჭიათურელ მაღაროელებს აქვთ საუკეთესო კურორტი კვერეთი, სადაც ყოველწლიურად მრავალი დამსვენებელი მიდის ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. ამ კურორტის კეთილმოწყობაზე შვიდწლედში რვა მილიონამდე მანეთი დაიხარჯება.

მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვნად გაფართოვდება ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ქსელი. აიგება ახალი მაღაზიები, სახადილოები, მკვეთრად გაუმჯობესდება მაღაროელთა მომარაგება მეცხოველეობის პროდუქტებითა და ბოსტნეულით.

მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ამ ზრუნვას ჭიათურელი მაღაროელები კომუნისტური შრომით უპასუხებენ. ასობით მაღაროელი, გამამდიდრებელი, მშენებელი შრომით ვახტზე დგას და წვლილი შეაქვს შვიდწლედის დროულად და სრულად განხორციელებაში.

შ. აბრამიშვილი,
მნგრეველი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

შვიდწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ენერგიულად შრომობს ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კალინინის სახელობის მაღაროს კომუნისტური შრომის ცვლა, რომელსაც ო. ლორია ხელმძღვანელობს. ცვლის წევრები დაუღალავად ეძებენ და იყენებენ მარგანეცის მოპოვების გადიდების რეზერვებს. მათ პირველ კვარტალში სამშობლოს გეგმის გადამეტებით 1.500 ტონამდე მაღალხარისხოვანი მარგანეცი მისცეს, ამასთან მკვეთრად შეამცირეს ტონა მარგანეცის თვითღირებულება.

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, ო. ლორიას კომუნისტური შრომის ცვლამ შეჯიბრებაში გამოიწვია ნიკოპოლმარგანეცის ტრესტის ოქტომბრის 40 წლისთავის სახელობის მაღაროს № 20 შახტის ახალგაზრდულ-კომკავშირული ცვლა, რომელსაც მაშინ ო. იმჩენკო ხელმძღვანელობდა. ახლა ამ ცვლის უფროსია მარგანეცის საქალაქო საბჭოს დეპუტატი ო. დედული. ახალგაზრდა უკრაინელმა მაღაროელებმა სიხარულით მიიღეს ეს გამოწვევა და თავის მხრივ გადიდებული საწარმოო ვალდებულებები იკისრეს. შეჯიბრებაში ჩაებნენ ცვლის ცალკეული წევრებიც. უკრაინელი და ქართველი მაღაროელები სწავლობენ ერთმანეთის მაგალითზე, მოწინავე გამოცდილებაზე, ძმურ დახმარებას უწევენ ერთმანეთს შვიდწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

* * *

სურათზე: ო. ლორიას კომუნისტური შრომის ცვლის წევრები ეცნობიან მარგანეცის საქალაქო გაზეთში გამოქვეყნებულ მასალას, რომელშიც მოთხრობილია ო. დედულის ცვლის მიღწევებზე.

ნათელი მომავალი

ლიონ ქილაზე მეტ კონსერვს გამოუშვებს. აიგება აგრეთვე ავეჯის ფაბრიკა. ერთიორად და უფრო მეტად გაიზრდება ადგილობრივი მრეწველობის პროდუქციის გამოშვება, სალიერთის მარმარილოს კარიერი მშენებლებს ყოველწლიურად მიაწვდის 50.000 ტონა ძვირფას საშენ მასალას.

მკვეთრად გაუმჯობესდება მაღაროელთა ჯანმრთელობისა და დასვენების პირობები, გათვალისწინებულია მარგანეცის ტრესტის საავადმყოფოს, რომელიც ქალაქის ერთერთი უდიდესი სამკურნალო დაწესებულებაა, წელს შეემატოს 50 საწოლი, გაიხსნება ახალი სამშობიარო სახლი, საბავშვო ბაღი და ბაგა, ბავშვთა გამაჯანსაღებელი ბანაკი.

ჭიათურელ მაღაროელებს აქვთ საუკეთესო კურორტი კვერეთი, სადაც ყოველწლიურად მრავალი დამსვენებელი მიდის ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. ამ კურორტის კეთილმოწყობაზე შვიდწლედში რვა მილიონამდე მანეთი დაიხარჯება.

მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვნად გაფართოვდება ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ქსელი. აიგება ახალი მაღაზიები, სახადილოები, მკვეთრად გაუმჯობესდება მაღაროელთა მომარაგება მეცხოველეობის პროდუქტებითა და ბოსტნეულით.

მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ამ ზრუნვას ჭიათურელი მაღაროელები კომუნისტური შრომით უპასუხებენ. ასობით მაღაროელი, გამამდიდრებელი, მშენებელი შრომით ვახტზე დგას და წვლილი შეაქვს შვიდწლედის დროულად და სრულად განხორციელებაში.

შ. აბრამიშვილი,
მნგრეველი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მაღაროელთა ქალაქში

მომზიდველ არქიტექტურულ ანსამბლს წარმოადგენს ქალაქის ცენტრი — ლენინის სახელობის მოედანი, რომელსაც აშენებს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების, მაღაროელთა კულტურის სასახლის შენობები, სტადიონის ლამაზი კოლონადა.

ნათელ, კეთილმოწყობილ ბინებში ცხოვრობენ უკრაინელი მაღაროელები. ომისშემდგომ პერიოდში ქალაქში საექსპლოატაციოდ გადაეცა 100 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი, აშენდა 5 სკოლა, სამთო ტექნიკუმი.

მარგანეცელი მაღაროელები კიდევ უფრო შეძლებულად და კულტურულად იცხოვრებენ მომავალში. შვიდწლედში ქალაქის საცხოვრებელ ფონდს შეემატება დაახლოებით 120 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი.

ნიკოპოლი

შვიდწლედის ადამიანები

გ. მოროზი — გამყვანი. იგი ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს 150-170 პროცენტით ანაღდებს.

გ. კუმჩენკო — ოქტომბრის 40 წლისთავის სახელობის მაღაროს № 20 შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.

შვიდწლედის გვიკარნახებს

1

შვიდწლიანი გეგმით ნიკოპოლ - მარგანეცის აუზის საწარმოების კაპიტალურ მშენებლობაზე გათვალისწინებულია დაიხარჯოს 2 მილიარდ მანეთზე მეტი.

ასეთი დიდი მოცულობის სამშენებლო სამუშაოებს მარტო კაპიტალური მშენებლობის განყოფილება და მოიჯარადრეები თავს ვერ გაართმევენ. ვფიქრობთ საჭიროა მარგანეცში შეიქმნას მძლავრი ტექნიკით აღჭურვილი სამშენებლო ტრესტი.

ა. კოლჩიკი,
ოქტომბრის 40 წლისთავის სახელობის მაღაროს პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე.

2

დმიტროვის სახელობის მაღაროში ღია სამუშაოებიდან მარგანეცის მოპოვება შვიდწლედში დაახლოებით 40 პროცენტით გადიდდება.

ამჟამად კარიერებზე მცირე წარმოდობის მტვირთავ მანქანებს ვიყენებთ. უმჯობესი იქნება გამოვიყენოთ 0,5-კუბმეტრიანი ექსკავატორები. ამით შრომაც გაადვილდება და მკვეთრად შემცირდება ტონა მადნის თვითღირებულება. მეტი უურადღება უნდა მიექცეს ღია სამუშაოებზე შრომატევადი პროცესების მექანიზაციას. აუცილებელია ფართოდ გამოვიყენოთ დიდი ტევადობის ვაგონები, ბულდოზერები, გამაფხვიერებლები, დავნერგოთ სელექციური გამოღება. ეს საგრძნობლად გააუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს.

საბურღი მანქანები, რომლებსაც ჩვენ ვხმარობთ, მოძველებულია, ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე ტექნიკის მოთხოვნებს, მაშინ, როცა ქვანახშირის მრეწველობაში ფართოდ არის დანერგილი სამთო კომბაინი და საბურღი ურიკა. კონსტრუქტორებმა წარმოების მუშაკებთან შემოქმედებითი თანამშრომლობით უნდა შექმნან ჭიათურის პირობებში გამოსაყენებელი ასეთი ძვირფასი მანქანების კონსტრუქციები.

ღია სამუშაოებიდან მარგანეცის მოპოვება ძალიან რენტაბელურია, მაგრამ იგი იწვევს მწვანე ნარგავების განადგურებას. ამ პრობლემის გადაჭრისათვის სერიოზულად უნდა ვიფიქროთ, ფუჭი ქანები ისე უნდა გადავხსნათ, რომ გამომუშავებულ ტერიტორიაზე კვლავ შეიძლებოდეს მცენარეულობის გაშენება. ეს აუცილებელი საქმეა.

ხ. ლომიძე,
ჭიათურ-მარგანეცის დმიტროვის სახელობის მაღაროს მტვირთავი მანქანის მემანქანე,
ტ. ბილლაძე,
ამწმენდი.

3

მარგანეცი გამამდიდრებელ ფაბრიკებში ირეცხება. იქ ჯერ კიდევ არ არის წარმოების სრულყოფილი ტექნოლოგიური პროცესები. ამიტომ მადნის თითქმის 15 პროცენტი მდინარე ყვირილას მიაქვს და სამუდამოდ იკარგება. ეს ერთი მხრივ აბუჭყიანებს მდინარეს, ხოლო მეორე მხრივ ზრდის მადნის დანაკარგებს. აუცილებელია სწრაფი ტემპით ავაშენოთ საფლოტაციო ფაბრიკა, რომ „შავი ოქრო" წყალს არ გავატანოთ.

მომავალში გათვალისწინებულია ჭიათურაში მარგანეცის მოპოვების მკვეთრი გადიდება. როგორც ცნობილია, ყოველი საქმის წარმატება დამოკიდებულია კადრებზე. ვფიქრობთ დადგა დრო, რომ ჭიათურაში შეიქმნას სამთო ტექნიკუმი, რომელიც მომზადებს კვალიფიციურ კადრებს მარგანეცის მრეწველობისათვის.

ა. ნადირაძე,
ახალი ათონის მაღაროს მბურღავი,
უ. სადღოგელაშვილი,
მტვირთავი მანქანის მემანქანე.

4

ტრესტ ნიკოპოლ-მარგანეცის გამამდიდრებელ ფაბრიკებში დღემდე იყენებენ „127-СЭ" ელექტრომაგნიტურ სეპარატორებს, რომლებსაც მოკლე სამუშაო ზონა აქვთ და სრულად ვერ ახდენენ მაგნიტური და არამაგნიტური ფრაქციების გაყოფას.

აუცილებელია ვავაუმჯობესოთ და სრულყოთ ელექტრომაგნიტური სეპარატორების მუშაობა. ამით ჩვენი სამშობლო დამატებით ასობით ტონა მაღალხარისხოვან მარგანეცს მიიღებს.

ხ. ნეძვეტაია,
მაქსიმოვის სახელობის მაღაროს გამამდიდრებელი ფაბრიკის ოსტატი.

5

ღირსეული წვლილი შეიტანოს მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული შვიდწლიანი გეგმის განხორციელებაში — ეს არის ყოველი საბჭოთა მშრომელის პატრიოტული მოწოდება.

მნგრეველთა ბრიგადის ტ. ფოფხაძის მნგრეველთა ბრიგადას. ორი მომქმე რესპუბლიკის მაღაროელთა ეს შეჯიბრება შესანიშნავ შედეგებს იძლევა. ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ თვალს ქართველი მაღაროელი ძმების მუშაობას, ვსწავლობთ მათგან წარმოების მაღალ კულტურას, შრომის ორგანიზაციას.

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მაღაროელთა ყოველ შრომითს გამარჯვებას ჩვენს საკუთარ გამარჯვებად ვთვლით. ტ. ფოფხაძის ბრიგადა მრავალჯერ გამოსულა გამარჯვებული უკრაინელ მაღაროელებთან შეჯიბრებაში.

ჩვენს წინაშე პასუხსაგები ამოცანებია დასახული შვიდწლედში. გადავწყვიტეთ შვიდწლედის პირველი წლიდანვე კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ შეჯიბრება ქართველ მაღაროელებთან. დაე ჩვენი მეგობრობა კვლავაც ახალი შრომითი გამარჯვებების სიმბოლო იყოს.

ჯ. ბრეკოვი,
უკრაინის სსრ დამსახურებული მაღაროელი, ოქტომბრის 40 წლისთავის სახელობის მაღაროს № 24 შახტის მნგრეველთა ბრიგადირი.

6

როგორც ცნობილია, ჩვენს მაღაროებში მარგანეცის მადნის მოპოვების ძირითადი იარაღია სანგრევი ურო. მაღაროელთა ნაბიჯი ცვლაში მოწონება ჰპოვა შემსუბუქებული ტიპის ახალმა სანგრევმა ურომ.

მაგრამ სანგრევი უროს წვეროები მალე გამოდის მწყობრიდან. ამის გამო ხშირად ვცდებით, სამშობლოს ვაკლებთ ათობით ტონა მარგანეცის მადანს.

ეს საქმე აუცილებლად უნდა მოგვარდეს. საჭიროა სანგრევი უროს წვეროები დამზადდეს გამძლე ფოლადისაგან, ამასთან გაუმჯობესდეს მათი რემონტის ხარისხიც.

ს. სოროკაშვილი,
ოქტომბრის 40 წლისთავის სახელობის მაღაროს № 22 შახტის მნგრეველთა ბრიგადირი.

7

ჩვენი მაღაროა მექანიზებულია. დიდი რაოდენობით გვჭირდება სამთო მანქანებისა და მექანიზმების სათადარიგო ნაწილები, რომელთაგან ბევრს ვერ ამზადებენ მთავარ მექანიკურ სახელოსნოში საჭირო აღჭურვილობის უქონლობის გამო.

ახალ შვიდწლედში გათვალისწინებულია საწარმოო პროცესების შემდგომი კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია. ამიტომ ვფიქრობთ აუცილებელია გადიდდეს მთავარი მექანიკური სახელოსნოს საწარმოო სიმძლავრე, გადაკეთდეს იგი მექანიკურ ქარხანად, რომ მანქანებისა და მექანიზმების ყველა დეტალი ადგილზე დამზადდეს.

კიდევ ერთი საკითხი. ჩვენი მაღაროს საწარმოო-ეკონომიურ მაჩვენებლებზე უარყოფითად მოქმედებს მიწისქვეშა ტრანსპორტის ცუდი მუშაობა. უნდა მოწესრიგდეს აგრეთვე მაღაროს პირიდან სანგრევებამდე მუშათა ტრანსპორტირება. ამჟამად 5-6 კილომეტრის გავლა ფეხით გვიხდება, რაც უარყოფით გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერებაზე. ჩვენ მიერ წამოწყებულ ამ წინადადებათა განხორციელება ძნელი არ არის, სარგებლობას კი დიდს მოგვცემს.

ა. დვალიშვილი,
ლენინის სახელობის მაღაროს მტვირთავი მანქანის მემანქანე,
გ. ბაღრაძე,
მბურღავი.

8

ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივს საკმაო გამოცდილება აქვს შტრეკების როგორც ლითონით, ისე ბეტონტით გამაგრების საქმეში. ბეტონტის ბიგი კარგად იმაგრებს ჭერს, მაგრამ მისი დაწყობა ხელით წარმოებს.

შვიდწლედში მარგანეცის მოპოვების მკვეთრი გადიდებისათვის აუცილებელია სასწრაფოდ დამუშავდეს ბეტონიტის წყობის მექანიზაცია. ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს შტრეკების გამაგრების დროს.

გ. ლისანკო,
ტრესტ ნიკოპოლ-მარგანეცის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს № 10 შახტის მნგრეველთა ბრიგადირი.

ნიკოპოლი

შვიდწლედის ადამიანები



ი. ლიაბოვიჩი — № 11 შახტის მნგრეველთა ბრიგადირი, რომელიც ყოველდღიურ დავალებებს 140-150 პროცენტით ასრულებს.



ი. კოვალიოვი — № 20 შახტის მნგრეველთა ბრიგადირი. ბრიგადამ პირველ კვარტალში გეგმის გადამეტებით ასობით ტონა მარგანეცი ამოიღო.

აი როგორ ვმუშაობთ

მას შემდეგ, რაც კალინინის სახელობის მაღაროს ახალგაზრდულ-კომკავშირული ცვლის კოლექტივი შეჯიბრებაში ჩაება კომუნისტური შრომის ცვლის სატატო წოდებისათვის, ძირეულად შეიცვალა ახალგაზრდა მაღაროელთა დამოკიდებულება შრომისადმი. დაბალი საწარმოო მაჩვენებლები არც წინათ გვქონდა, მაგრამ ახლა გაცილებით უკეთეს შედეგებს ვაღწევთ. ცვლის თვითეულ წევრზე დღეში გეგმის გადამეტებით 1,5-2 ტონა მარგანეცის მაღალხარისხოვან მადანს ვიღებთ.

ცვლის წევრები დაუღალავად ზრუნავენ მარგანეცის მადნის მოპოვების გადიდების რეზერვების გამონახვისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის, მოწინავე ტექნიკისა და შრომის პროგრესული მეთოდების დანერგვისათვის. როგორც ცნობილია, სანგრევი ჩაქუჩი კუმში ჰაერი ითხოვდა. ჩვენს მაღაროში მილგაყვანილობის უვარგისობის გამო ჰაერი დიდი რაოდენობით იკარგებოდა. ამიტომ ჩაქუჩების წარმადობა დაბალი იყო. ახალგაზრდა ამწმენდების ტ. გაფრინდაშვილისა და ა. ცერცვაძის ინიციატივით მილგაყვანილობა წესრიგში იქნა მოყვანილი. ამით მნიშვნელოვნად ამაღლდა სანგრევი ჩაქუჩების წარმადობა.

ამწმენდ ვ. მეცხოვრიშვილის წინადადებით სანგრევებში მოვაწყეთ ჯალამბრები. ამან საგრძნობლად დაეჩქარა ვაგონების მომოქცევა, აამაღლა შრომის ნაყოფიერება. მაღაროელთა ინიციატივით მთავარ საზიდში მოვაწყეთ ასაქცევი, რამაც მკვეთრად გააუმჯობესა ტრანსპორტის მუშაობა.

ჩვენ განსაკუთრებით ვზრუნავთ იმისათვის, რომ ცვლის ყოველი წევრი რამდენიმე პროფესიას ფლობდეს. ამ საქმეში გარკვეული მიღწევები გვაქვს. ამწმენდები ა. გაფრინდაშვილი და ვ. გამეზარდაშვილი კარგი მებიგეებიც არიან. მებიგე ალ. გაფრინდაშვილი საუცხოო რკინიგზელია და ცვლის უფროსის მოვალეობასაც წარმატებით ართმევს თავს. ელექტრომონტიორი ხ. გაფრინდაშვილი კარგად არის დაუფლებული ამფეთქებლის და რკინიგზელის პროფესიას. ცვლის წევრები ჩაბმული არიან ტექნიკურ წრეებში, ეუფლებიან ახალ პროფესიებს. იმაღლებენ კულტურული და ტექნიკური ცოდნის ჰორიზონტს.

ჭიათურელ მაღაროელებში მძლავრი შრომითი აღმავლობა გამოიწვია თბილისის ელექტრომავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივის პატრიოტულმა ინიციატივამ შვიდწლედის ვადაზე ადრე შესრულების შესახებ. მოდით, ჩვენო უკრაინელო ძმებო, შევეჯიბროთ და დავეხმაროთ ერთმანეთს შვიდწლედის ხუთ წელიწადში შესრულებისათვის!

ო. ლორია,
კალინინის სახელობის მაღაროს კომუნისტური შრომის ცვლის უფროსი.

* * *

მთავარი, რაც ჩვენ ხელს გვიწყობს კარგი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებაში, არის შრომის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების დანერგვა, საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია. ამ საქმეში გადამწყვეტ როლს ასრულებს აგრეთვე ცვლის წევრთა შეგნებული, კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი, თვითეული მნგრეველი, ამწმენდი, გამმაგრებელი მუშაობს პრინციპით — ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის.

ჩვენს ცვლაში ფართოდ არის გაჩაღებული შეჯიბრება ბრიგადებს შორის. ა. პერემეტჩიკის, გ. კუმჩენკოს, კ. პოლიაკოვის ახალგაზრდულ-კომკავშირული ბრიგადები თავდადებით შრომობენ შეჯიბრებაში პირველობის მოპოვებისათვის. ა. პერემეტჩიკის მნგრეველთა ბრიგადა ამასთან ერთად ეჯიბრება № 24 შახტის მნგრეველთა ბრიგადას, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ი. მელნიკოვი ხელმძღვანელობს.

ახალგაზრდებმა ცოტა როდი გააკეთეს მარგანეცის მიწისქვეშა მოპოვებაში შრომის პროგრესული მეთოდების, ტექნიკური სიახლეებისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისათვის. ცვლის მრავალი მნგრეველი და გამმაგრებელი რაციონალიზატორია. კარგი ეკონომიური ეფექტი მოგვცა გამმაგრებელ ი. დუდკას მიერ შემოტანილი რაციონალიზატორული წინადადების განხორციელებამ. მან გამოიგონა ვაგონნების საწმენდი მოწყობილობა, რამაც საგრძნობლად აამაღლა მიწისქვეშა მოძრავი შემადგენლობის წარმადობა.

ჩვენმა ცვლამ მიიღო ჭიათურ-მარგანეცის ტრესტის კალინინის სახელობის მაღაროს ო. ლორიას კომუნისტური შრომის ცვლის დეპეშა. ქართველმა მაღაროელებმა შეჯიბრებაში გამოგვიწვიეს. ჩვენი ცვლის კოლექტივი უდიდესი სიხარულით შეხვდა ამ გამოწვევას და ვალდებულება იკისრა 1959 წელს მრეწველობას გეგმის გადამეტებით მისცეს 4.200 ტონა მარგანეცის მადანი, ტონა მადნის თვითღირებულება შეამციროს 47 კაპიკით. დარწმუნებული ვართ, ჩვენო ქართველო მეგობრებო, რომ შვიდწლედში ჩვენს წინაშე დასახული პასუხსაგები ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის დიდად დაგვეხმარება ძმობა, მეგობრობა კომუნისტურ შრომაში.

ო. დედული,
ოქტომბრის 40 წლისთავის სახელობის მაღაროს № 20 შახტის ახალგაზრდულ-კომკავშირული ცვლის უფროსი.

გზა ლაქვარდებში

ჭიათურელმა სპეციალისტებმა საჰაერო-საბაგირო გზების მშენებლობის დიდი გამოცდილება შეიძინეს. საბჭოთა კავშირში პირველი სამგზავრო და დიდი ტვირთამწეობის საჰაერო-საბაგირო გზების შემქმნელი ქართველი სპეციალისტები ამ საქმეში მეგობრულ დახმარებას უწევენ მოძმე რესპუბლიკების საწარმოთა კოლექტივებს.

ახალ შვიდწლედში მარგანეცის მრეწველობის მძლავრი განვითარება საჰაერო-საბაგირო გზების მშენებლობის ფართო პერსპექტივებს სახავს როგორც ჭიათურის, ისე ნიკოპოლის აუზში. 1965 წლისათვის ჭიათურაში საექსპლოატაციოდ გადაეცემა 50-მდე საჰაერო-საბაგირო გზა, აქედან 20 სამგზავრო. საჰაერო-საბაგირო გზების მშენებლობაში ჩვენ კვლავაც მეგობრულ დახმარებას გავუწევთ ნიკოპოლელ მაღაროელებს. ძირითადად ეს იქნება ახალი სახის საბაგირო გზები, რომლებიც გამოირჩევა თავიანთ ტექნიკური აღჭურვილობით, მშენებლობის ღირებულების სიიაფით და მართვის სიმარტივით.

მოსკოვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის „ვნიიტმაშის" და ტრესტ „სოიუზპრომმექანიზაციის" დახმარებით ჭიათურის მარგანეცის ტრესტი აშენებს 3 კილომეტრი სიგრძის სავსებით ახალი სისტემის საბაგირო გზას, რომელიც საათში 1.000 ტონამდე მარგანეცს გადაზიდავს.

განზრახული გვაქვს ფართოდ დანერგოთ მსუბუქი ტიპის მცირე ტვირთამწეობის საჰაერო-საბაგირო გზები.

გ. ფანცულაია,
სამთო ინჟინერი.

ნ. გოგოლისადმი მიძღვნილი საღამო

გუშინ გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრში მოეწყო წარმოდგენა-კონცერტი დიდი რუსი მწერლის ნ. გოგოლის დაბადების 150 წლისთავის აღსანიშნავად.

წარმოდგენა-კონცერტი შესავალი სიტყვით გახსნა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, გრიბოედოვის თეატრის დირექტორმა პ. კანდელაკმა.

საინტერესო მოხსენება თემაზე „მწერალი-დრამატურგი“ წაიკითხა მწერალმა ვ. მრეველშვილმა.

გრიბოედოვის თეატრის მსახიობებმა წარმოადგინეს სცენები გოგოლის „რევიზორის“ მეორე და მესამე მოქმედებებიდან. მონაწილეობდნენ: რესპუბლიკის სახალხო არტისტი ა. ზაგორსკი, რსფსრ დამსახურებული არტისტი ი. ბროსევიჩი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ი. ზლობინი, ი. ბროსევიჩი, ე. კერჟენევიჩი, ვ. ზახაროვა, მსახიობები ბ. პოლტავცევი, ა. კოპიტოვი.

სცენა „როგორ წაიჩხუბნენ ივან ივანიჩი და ივან ნიკიფოროვიჩი“ წარმოადგინეს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა კ. მიუფკემ, მსახიობებმა ს. დიკერმანმა, ბ. ნიკიფოროვმა, დამსმარე შემადგენლობიდან — ო. მონსემ და ვ. შუმილოვმა.

სცენა ნოზდრევთან („მკვდარი სულები“) წარმოადგინეს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. სლავინმა, რსფსრ დამსახურებულმა არტისტებმა ა. ერმილოვმა და ა. ნირვანოვმა.

რესპუბლიკის დამსახურებულმა მსახიობმა ი. რუსინოვმა წაიკითხა ნაწყვეტი („მაისის ღამე“).

საქართველოს და უკრაინის რესპუბლიკების დამსახურებულმა არტისტმა ი. მაქსიმოვამ წაიკითხა ნ. ნეკრასოვის ლექსი „გოგოლს“.

დასასრულ გაიმართა კონცერტი რესპუბლიკის სახალხო არტისტის ნ. ბელაქნელის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის თ. ბახტაძის მონაწილეობით. როიალის პარტიას ასრულებდა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი რ. გლეზერი.

წარმოდგენა-კონცერტი დადგა რეჟისორმა ა. ვიპმანმა, მხატვარი — ე. დონცოვა.

დიდი მგოსნის თანასოფლელები

მოგეხსენებათ: სხვიტორი ჩვენი სასიქადულო და უებრო მგოსნის აკაკის სოფელია. აქ დაიბადა იგი, აქ შექმნა ბევრი უკვდავი ქმნილება და ღვაწლმოსილმა აქ განუტევა სული... აქ შეჩერდა აკაკის მაჯისცემა, ჩაქრა ნათელი გონება, მგზნებარე გულმა შეწყვიტა ძგერა...

აკაკის „კრებულში“, რომელიც 1897 წელს გამოვიდა, ვკითხულობთ: „სოფელი სხვიტორი დაბა საჩხერის ნაწილია და მდებარეობს მდინარე ჩიხურის პირად, გალმა-გამოლმა გორაკებზე“...



სურათზე: მ. ლურსმანაშვილი (ზევით) და ვ. ზაბახიძე.

დიდებულ მგოსანს გატაცებით ჰყვარებია მართლაც მომხიბლავი მდინარე ჩიხურა. იგი „თავგადასავალში“ წერს:

„მიყვარს საზოგადოდ ბავშვი, უგულთადესად პატივსა ვცემ მოხუცებულობას, ღირსეულად ვაფასებ ვაჟკაცობას, მაგრამ გული კი ჭაბუკობისაკენ მიმიწევს და ყველზე უფრო იმას შეფრქვევით ვეტრფიალები!.. ალბათ ამის მიზეზი უნდა იყოს, რომ წყლებშიაც ყოველგვარ მდინარეს გიჟმაჟი ხევის წყალი მირჩევნია და მათში — კი უპირატესობას ერთს მათგანს, ჩიხურას ვაძლევ: ის იყო ჩემი საკუთარი ემბაზი და ჩემი პირველი სარკე“.

„სხვიტორში მოსავალი კარგი იკის. მოჰყავთ: პური, ქერი, დიკა, ღვინო, სიმინდი, ლობიო და ყოველგვარი ბოსტნეულობა“, — დასძენდა დიდი პოეტი.

გვინდა სხვიტორულ კარგ მოსავალზე და მის წარჩინებულ ოსტატებზე მოკლედ გიამბოთ.

მართლაც ბარაქიანი, ნაყოფიერი იყო სხვიტორელებისათვის გასული სამეურნეო წელი. დავიწყოთ ვენახით, რომელიც აქაური გლეხის სათაყვანო და სიმდიდრის დაუშრეტელი წყაროა. მას 51 ჰექტარი უჭირავს. 34 ჰექტარი მსხმოიარეა. ყოველ ჰექტარზე 60 ცენტნერის ნაცვლად 92,5 ცენტნერი ყურძენი მოიყვანეს. მარტო ყურძნით მიღებულმა შემოსავალმა 1.170.000 მანეთი შეადგინა.

ყურძნის მოსავლიანობაში ყველას გაუსწრო მესამე ბრიგადამ, რომელსაც ან. ყიფიანი უძღვება. იგი 6,2 ჰექტარ ვენახს უვლიდა და საშუალოდ ჰექტარზე 117 ცენტნერი ყურძენი მიიღო. რგოლის ხელმძღვანელმა ს. ზაბახიძემ ჰექტარზე მოიყვანა 118,5 ცენტნერი ყურძენი.

სურათზე: ს. ყიფიანი (ზევით) და გ. ლაბუჩიძე.

* * *

ლიძე ხელმძღვანელობს. ბრიგადა იბრძვის იმისათვის, რომ თვითეულ ძროხაზე 2.000 კილოგრამი რძე მიიღოს. დაწინაურდა მწველავი გ. ლაბუჩიძე.

მართლაც, რომ კარგი მოსავალი მიიღეს სხვიტორელებმა და კარგადაც ცხოვრობენ. წინ წავიდა სოფლის კულტურაც, ყოფაც. ახლა აქ ვერ ნახავთ ოჯახს, სადაც საშუალო ან უმაღლესი განათლების მქონე შვილები არ ჰყავდეთ. სოფელს აქვს შვიდწლიანი სკოლა, სადაც მასწავლებლები სხვიტორელები არიან. ბევრი აქაური ახალგაზრდა ნიჭიერი ინჟინერი, სწავლული აგრონომი, დახელოვნებული ექიმია, ხოლო ზოგი მეცნიერი მუშაკია. სოფელს აქვს კლუბი, ბიბლიოთეკა, ელექტროგანათება.

ასეთია მოკლედ პატარა სოფლის დღევანდელი დღე. მაგრამ სხვიტორი კიდევ უფრო მიმზიდველი, კეთილმოწყობილი, ბარაქიანი და კულტურული იქნება შვიდწლედის ბოლოს. მის ეკონომიკაში წამყვანი იქნება ვენახი, რომლის ფართობი 100 ჰექტარს მიაღწევს. ასი ცენტნერი იქნება ვენახის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე. სიმინდის საშუალო მოსავალმა 40 ცენტნერს უნდა მიაღწიოს, ხოლო ძროხის წველადობა 2.000 კილოგრამს გადააჭარბებს.

სხვიტორელები უკვე შეუდგნენ ამ საბრძოლო ციფრებისათვის ხორცის შესხმას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დიდი მგოსნის თანასოფლელები თავს არ შეირცხვენენ.

ჯ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

წერილები რედაქციას

ძვირფასი წყლეგი — უყურადღებოდ

არაგვის ხეობა ცნობილია თავისი ლაღი ბუნებითა და საუკეთესო სასმელი წყლებით. ამასთან ეს ხეობა მდიდარია बალნეოლოგიური რესურსებითაც, რაც ჯერჯერობით სათანადოდ შესწავლილი არ არის. კარგი კლიმატური პირობები და बალნეოლოგიური რესურსები იმის საშუალებას იძლევა, რომ არაგვის ხეობა უმოკლეს დროში დაიფაროს बალნეოკლიმატური კურორტებითა და საზაფხულო აგარაკებით.

დუშეთის სამხრეთ-დასავლეთით, ზღვის დონიდან 880 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს ბაზალეთის ტბა. მისი ფართობი 2,5 კვადრატულ კილომეტრს აღემატება. ტბა და მისი მიდამო მოქცეულია ზომიერი, კონტინენტური ჰავის გავლენის ქვეშ. बალნეოლოგიური რესურსების გამოკვლევების თვალსაზრისით ეს ტბა 1953 წლის ზაფხულში დაათვალიერა კურორტოლოგიის ინსტიტუტის კომპლექსურმა ექსპედიციამ, რომელმაც სათანადო შემოწმების შედეგად დაასკვნა, რომ ტბაში არის სამკურნალოდ ვარგისი ლამის ტალახი.

ფშავის არაგვის ხეობა მდიდარია სხვადასხვა სახის მინერალური წყლებით. ვისაც ზაფხულობით ვაჟა-ფშაველას მშობლიურ სოფელ ჩარგლისაკენ უმგზავრია, არაგვის მარჯვენა ნაპირზე, ჩარგლულას შესართავთან უეჭველად შენიშნავდა სახელდახელოდ დადგმულ კარვებს. ეს კარვები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩარგალში სამკურნალოდ ჩამოსულთა ბინებია. ისინი აქ მოდიან ხალხში ცნობილი „მკურნალის“ — მჟავე წყლის იმედით.

ჩარგლის მჟავე წყლის სამკურნალოდ გამოყენება გასული საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. პირველად იგი სამკურნალო მიზნით გამოიყენეს ვაჟას მამამ პავლე რაზიკაშვილმა და პავლეს ახლო მეგობარმა პართენ თუშმა. 1953 წლის ზაფხულში კურორტოლოგიის ინსტიტუტის კომპლექსურმა ექსპედიციამ შეისწავლა ვაჟას წყალი. წყლისა და გაზის ნიმუშების ქიმიურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ამ წყალს დიდმნიშვნელოვანი სამკურნალო თვისებები აქვს. იგი მიეკუთვნება ნახშირორჟანგიანი ჰიდროკარბონატულ-კალციუმიანი წყლების ჯგუფს, რომელიც თავისი ფიზიკურ-ქიმიური ბუნებით უახლოვდება საირმის ცნობილ № 1 მინერალურ წყალს.

მდინარე კაწალხევი მარჯვენა მხრიდან ერთვის ფშავის არაგვს, შესართავიდან წყალღმა 3 კილომეტრზე, კაწალხევს უერთდება გიუხევას წყალი. გიუხევას კალაპოტში, ზღვის დონიდან 1.200 მეტრ სიმაღლეზე გაშიშვლებულ ფიქალებს შორის გამოდის გაზიანი წყალი, რომელიც თავისი ქიმიური ბუნებით ახლოს დგას აირმის წყალთან.

ფშავის არაგვის მარჯვენა ნაპირზე, ბარისახოდან მე-16 კილომეტრზე დიდი რაოდენობით გამოდის ნახშირორჟანგიანი მინერალური წყალი — კლდოვანი (სულიანა). წყლისათვის დამახასიათებელია გოგირდის სუნი.

როგორც კურორტოლოგიის ინსტიტუტის დასკვნებიდან ირკვევა, არაგვის ხეობათა მინერალური წყლები შეიძლება რეკომენდებულ იქნას კუჭის ქრონიკული კატარის, ქრონიკული კოლიტის, შარდის ბუშტის და თირკმლის ქრონიკული ანთებითი პროცესების, მეორადი სისხლნაკლებობის სამკურნალოდ.

ბაზალეთის ტბის სამკურნალოდ ვარგისი ლამის ტალახი, ფშავისა და თეთრი არაგვის მინერალური წყლები ძვირფასი საკურორტო რესურსებია და კარგი იქნება, თუ ხალხის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში ჩავაყენებთ.

გ. თუჯიშვილი,
დუშეთის რაისაავადმყოფოს მთავარი ექიმი,

გ. ნადარეიშვილი,
დუშეთის რაიონული გაზეთის „სტალინური გზით“ რედაქტორის მოადგილე.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ადიგენში ჩამორჩენას ურიგდებიან“

„კომუნისტის“ 10 მარტის ნომერში გამოქვეყნებული კორესპონდენცია „ადიგენში ჩამორჩენას ურიგდებიან“ ამხილებდა ადიგენის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობათა სერიოზულ ნაკლოვანებებს საგაზაფხულო თესვისათვის მზადების საქმეში.

პარტიის ადიგენის რაიკომიდან გვატყობინებენ, რომ კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. რაიკომის ბიურომ იმსჯელა რაიონის კოლმეურნეობებში საგაზაფხულო თესვისათვის მზადების მდგომარეობის შესახებ და დასახა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მლაშის, ფლატის, ხევაშენის, ფხეროს და წაბნის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს დ. მეტრეველს, ჯ. გოგრიჭიანს, ა. ენდელაძეს, ვ. კაციტაძეს და ვ. ტაბეშაძეს დაედოთ პარტიული სასჯელი თესლის მომზადებასა და სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შეკეთებაში საგრძნობი ჩამორჩენისათვის.

განხორციელებული ზომების შედეგად მდგომარეობა სწორდება, ამჟამად კოლმეურნეობები უზრუნველყოფილი არიან მარცვლეული და ბოსტნეული კულტურების კონდიციური თესლით, შეკეთებულია მთელი სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები და ინვენტარი, მთავრდება სასუქების გატანა მინდვრებში.

მკითხველებს გვატყობინებენ

⊙ **მეგენახეობის დარგში** საუკეთესო მაჩვენებლებისათვის საქართველოს კომპარტიის ორჯონიკიძის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა გარდამავალი წითელი დროშა მიაკუთვნეს სოფელ საღანძილის კოლმეურნეობას. ამ კოლმეურნეობამ შარშან საშუალოდ ჰექტარზე 120,1 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა. მემინდვრეობის დარგში გარდამავალ დროშას ფლობს სოფელ ხონის კოლმეურნეობა.

გ. ტაბატაძე.

⊙ **დუშეთში** გაიხსნა ავტობუსების კანტორა და გარაჟი. ავტობუსები იმოძრავებენ დუშეთიდან მლეთის და ბარისახოს მიმართულებით, მაღაროსკარის გავლით.

ვ. ხუციურაული.

⊙ **აბაშის** რაიკოოპერატივის სამეურნეო მაღაზიის გამყიდველმა ნ. ბოკუჩავამ მაღაზიაში იპოვნა და მეორე დღესვე ჩაბარა პატრონს 1.500 მანეთი და საპენსიო წიგნაკი.

ი. თოფურია.

კოტე მესხი

დაბადების 100 წლისთავის გამო

გასული საუკუნის ქართული კულტურის ისტორიაში საპატიო ადგილი უჭირავს სვიმონ მესხის ოჯახს. ნ. ლორთქიფანიძის თქმით ეს ოჯახი „ქართული კულტურის მთელი ხომლია, რომლის ყოველი სანთელი მეტ-ნაკლები სიძლიერით, მაგრამ ერთგვარი ურყეობით იწვოდა მრავალი წელი“.

ს. მესხს ცამეტი შვილი ჰყავდა და მათ შორის დიდი უმრავლესობა ქართული კულტურის საქმეს ემსახურებოდა. ესენი იყვნენ: ბათუმის დრამატული საზოგადოების თავმჯდომარე ივანე, ნიჭიერი მსახიობი ეფემია, ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე სერგეი, მწერალი, იუმორისტი და მსახიობი დავითი, ქუთაისის ერთ-ერთი პირველი სცენისმოყვარე და მთარგმნელი ანა თუ გამოჩენილი მსახიობი და საზოგადო მოღვაწე კოტე. ამ ოჯახს ახლო ენათესავებრან კ. მარჯანიშვილი და ვერიკო ანჯაფარიძე. ერთი სიტყვით, ეს მეტად საინტერესო ქართული ოჯახია.

კ. მესხი ადრე გაერკვა თეატრალურ მოვლენებში. იგი სულ ახალგაზრდა იყო, როცა საინტერესო თეატრალური წერილების გამოქვეყნება დაიწყო გაზეთ „დროებაში“. ახალგაზრდა ხელოვანი პუბლიცისტური მგზნებარებით და საქმის ღრმა ცოდნით განიხილავდა სცენური ხელოვნების მთელ რიგ სპეციფიკურ საკითხებს.

კ. მესხი თეატრისაგან ყოველთვის მოითხოვდა სიმართლით გამოეხატა ცხოვრება. წამოეყენებინა „საზოგადო საკითხი“, ყოფილიყო ხალხის ინტერესების ქომაგი და ახალი მოწინავე იდეების დამკვიდრებისათვის მებრძოლი.

ცნობილია, რომ კ. მესხი ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა იყო, ფოთიდან მარსელისაკენ მიმავალ გემს რომ გაჰყვა. უცხოეთში მალე შეისწავლა ფრანგული ენა და დიდის გულისყურით გაეცნო ფრანგულ თეატრებს. ჩასვლისთანავე მოსწერა თავის ძმას ი. მესხს: „სარა ბერნარი ვნახე სცენაზე, კინაღამ გადამრია, თუმცა მისი ლაპარაკი არ მესმოდა, მაგრამ მის თამაშს ვხედავდი და ტანში მაციებდა“.

აზასთანავე კ. მესხისათვის მიუღებელი იყო ზოგიერთი ფრანგული თეატრის მსახიობთა მეტყველების მანერა. მას ცხოვრების სიმართლესთან მიმართებაში განიხილავდა და კატეგორიულ დასკვნას იძლეოდა — წამღერებითი მეტყველება, გაზვიადებული და არაბუნებრივი ჟესტი რეალისტურ თეატრში მას დაუშვებლად მიაჩნდა: „ამგვარი ლაპარაკი ხელოვნების წინააღმდეგიც არის და ცხოვრებასთან მიუმსგავსი ე ბ ე ლიც, რადგან თეატრი კაცობრიობის ცხოვრების სურათებს წარმოადგენს, თეატრში მოთამაშე ისე უნდა მოიქცეს და ილაპარაკოს, როგორც ნამდვილ ცხოვრებაში მოქმედებენ და ლაპარაკობენ“. როგორც ვხედავთ, კ. მესხი აქაც რეალისტური სცენური ხელოვნების დამცველად გვევლინება.

კ. მესხი ფართო დიაპაზონის და მაღალი ინტელექტის მსახიობი იყო. ამასთან ერთად მას ახასიათებდა საოცარი შრომისმოყვარეობა. განსვენებული შ. დადიანი წერდა, რომ „ის უსათუოდ არის ერთი ბუმბერაზთაგანი იმ დროის არტისტებს შორის“. მისივე თქმით, „სანამ ლადო მესხიშვილს უებრო ნიჭი გაიფურჩქნებოდა, კოტე იყო კლასიკური და დრამატული როლების წამყვანი და ბაირახტარი“.

მრავალფეროვანი იყო კ. მესხის როგორც მსახიობის რეპერტუარი, ქართული ორიგინალური ნაწარმოებების გარდა, იგი მონაწილეობდა შექსპირის, შილერის, მოლიერის, ბომარშეს, გუცკოვის, იბსენისა და სხვათა პიესებში. მის რეპერტუარში იყო როლები გოგოლის, გრიბოედოვის და ოსტროვსკის დრამატული ნაწარმოებებიდან.

მაშინდელ პრესას არაერთხელ აღუნიშნავს კ. მესხის შრომისმოყვარეობა, არაერთხელ მიუთითებია სხვებისათვის კ. მესხზე, როგორც მაგალითზე. „კ. მესხი, რომელიც იმერელ მსახურს თამაშობდა, — წერდა „დროება“, — ჩვეულებრივ ძალიან კარგი იყო. მის თამაშობას ნიჭს გარდა ეტყობა მეცადინეობა, დაკვირვება, შრომა“...

ეს მართლაც სამაგალითო თვისება დიდად დაეხმარა კ. მესხს თავისი შემოქმედებითი წარმატების გზაზე.

კ. მესხის რეპერტუარში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს შექსპირის პიესებს. მან უსათუოდ დიდად შეუწყო ხელი ქართულ თეატრში შექსპირის პიესების დადგმის ტრადიციის შექმნასა და განვითარებას. როდესაც კ. მესხმა ოტელო ითამაშა, გაზეთმა „ივერიამ“ მას აღფრთოვანებული წერილი უძღვნა. „პატონი მესხი დიახ მადლობის ღირსია, რომ ასეთი ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭა მაყურებელთა“, — წერდა იგი. აღტაცება გამოხატეს სხვა გაზეთებმაც. მათში ნათლად გამოვლინდა ფართო მაყურებლის განწყობილება. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ოტელო ქართულ სცენაზე პირველად კ. მესხმა ითამაშა.

კ. მესხი არც მარტო პუბლიცისტი იყო და არც მარტო მსახიობი. იგი აგრეთვე იყო რეჟისორი, მთარგმნელი, ორიგინალური პიესების ავტორი და ქუთაისის მუდმივი ქართული თეატრის დიდი მოღვაწე. კ. მესხმა არსებითად თავისი შემოქმედებითი ენერგია და ცხოვრების მნიშვნელოვანი დრო ქუთაისის თეატრს შესწირა.

კ. მესხის კალამს ეკუთვნის ისტორიული დრამები „რუსთაველი“, „თამარ ბატონიშვილი“ და მრავალი გადმოკეთებული და თარგმნილი პიესა. ამ ნაწარმოებებმა თავისი დადებითი როლი შეასრულეს XIX საუკუნის ქართულ თეატრალურ ცხოვრებაში.

კოტე მესხმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ქართული კულტურის განვითარების საქმეს მოახმარა. ამიტომ არის, რომ დღეს დიდი სიყვარულითა და მადლიერებით იგონებს მის სახელს ჩვენი საზოგადოებრიობა.

ვ. ძიძნაძე.

ჩვენი კალენდარი

ბიბლიოგრაფია

მნიშვნელოვანი კრებული

ღრმად ეროვნული მნიშვნელობის მქონე ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების სისტემატური, მეცნიერული შესწავლა და პუბლიკაცია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. საკმარისია დავასახელოთ 1931 წელს ა. შანიძის მიერ გამოქვეყნებული ფუნდამენტალური შრომა — „ქართული ხალხური პოეზია (ხევსურული)“. აგრეთვე ვ. კოტეტიშვილის მიერ დიდი გემოვნებით შედგენილი კრებული — „ხალხური პოეზია“ (1934 წ.).

სერიოზული მუშაობა წარმოებს ხალხური ტექსტების პუბლიკაციის საქმეში. მარტო 1951 წლიდან დღემდე გამოქვეყნდა ზეპირსიტყვიერების სერიის 1-5 ტომი. 1947 წელს გამოვიდა მიხ. ჩიქოვანის მეტად მნიშვნელოვანი შრომა — „მიჯაჭვული ამირანი“.

ახლახან ქართულ ფოლკლორისტიკას შეემატა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კრებული — „ქართული მთიელთა ზეპირსიტყვიერება“, რომელშიც თითქმის სრული სახით არის წარმოდგენილი მთიულეთ-გუდამაყრის სიტყვიერების ყველა ძირითადი ნიმუში. ეს ვრცელი კრებული შედგება ადგილზე გულმოდგინე, ხანგრძლივი მუშაობისა, რომელსაც კრებულის შემდგენელი, გამოკვლევისა და შენიშვნების ავტორი ე. ვირსალაძე, ექსპედიციის წევრებთან ერთად, წლების განმავლობაში აწარმოებდა მთიულეთსა და გუდამაყარში.

საქართველოს ამ შესანიშნავი კუთხის ზეპირსიტყვიერება, როგორც ეს აღნიშნული აქვს ე. ვირსალაძეს, დღემდე არ გამოქვეყნებულა არც ცალკე კრებულად, არც ცოტა თუ ბევრად მოზრდილი კოლექციის სახით. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ამ კუთხის ზეპირსიტყვიერება დაუმსახურებლად იყო მივიწყებული, მაშინ როცა მთიულეთ-გუდამაყარი ყოველთვის იყო საქართველოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების აქტიური მონაწილე. ამჟამად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ხარვეზი გამოსწორებულია.

სარეცენზიო კრებული სამი ნაწილისგან შედგება: გამოკვლევა, ტექსტები, შენიშვნები და საძიებელები.

პირველ ნაწილში ვრცლად არის განხილული შრომის სიმღერები. ეს ბუნებრივიც არის, რადგან შრომის სიმღერები ფოლკლორის ერთ-ერთ არქაულ ჟანრს წარმოადგენს. მკვლევარი საგანგებოდ ჩერდება მთიბლურ სიმღერებზე და გამოთქვამს დღემდე არსებული დებულებებისაგან განსხვავებულ მოსაზრებას.

მეცნიერებაში გამოთქმულია აზრი, რომ მთიბლურ სიმღერებში პირველადია ცხრამარცვლიანი „ხმით ნატირალი“, რომელსაც საფუძვლად წინაპართა სულების თაყვანისცემა უდევს, დანარჩენი, რვამარცვლიანი და სხვა სახის მთიბლური სიმღერები უფრო გვიანდელია და მეორად მოვლენას წარმოადგენს. ისინი შექმნილია „ხმით ნატირალის“ ტრადიციის საფუძველზე.

ე. ვირსალაძეს ეს დებულება სადავოდ მიაჩნია და აღნიშნავს, რომ „მართალია... დატირებებს მთიბლურ სიმღერაში დიდი ადგილი უჭირავთ, მაგრამ... წარმოუდგენელია, რომ... შრომითი ენერგიის ამგზნები, შრომის სიძნელეთა ამსახველი ლექსები თავიდანვე არ წარმოადგენდნენ ამ შრომის სიმღერის ძირეულ ბირთვს და „მეორადი“ წარმოშობისა იყვნენ“. მკვლევარი განიხილავს მთიულურ, რაჭულ და სხვა კუთხეთა მთიბლურ სიმღერებს და აღნიშნავს, რომ ამგვარი სიმღერები წარმოადგენენ „საერთოდ ხალხური შემოქმედების ერთ-ერთ უძველეს, ცოცხალ ტრადიციაში ჩვენამდე მოღწეულ ფორმას“. ბოლოს მკვლევარი თავის დებულებას ასე წარმოგვიდგენს: „მთიბლურები წარმოიშვნენ არა წინაბართა შესახებ სულების წარმოდგენის საფუძველზე, როგორც ცხედრის დატირების ჩვეულება, არამედ როგორც ადამიანთა შრომითი ენერგიის გამოხატულება, ხოლო თუ მათში აღიბეჭდა რწმენა წინაპართა სულებისა... ეს მხოლოდ საზოგადოების განვითარების, მისი იდეოლოგიის გარკვეული საფეხურის მაჩვენებელია“.

ე. ვირსალაძის მიერ წამოყენებული ეს ახალი დებულება მეტად პრინციპული მნიშვნელობისაა. იგი ჩვენ დამაჯერებლად მიგვაჩნია, მაგრამ, სამწუხაროდ, მთიბლური სიმღერები დღემდე მონოგრაფიულად არ არის შესწავლილი. მოძავალში შეიძლება დადასტურდეს ისეთი ფაქტი, რომელიც ჩვენს მიერ აღნიშნული სპირისპირო დებულებებიდან ერთ-ერთს ყველასათვის მისაღებ დებულად გახდიდა.

მთიულეთ-გუდამაყრის ზეპირსიტყვიერებაში მნიშვნელოვანი ადგილი სამგლირო და ისტორიულ ლექსებს უჭირავს. მკვლევარი მათ ცალცალკე განიხილავს და საფუძვლიან დასკვნებს აკეთებს.

სარეცენზიო კრებულის მეორე ნაწილში ვეცნობით ტექსტებს. ძველი ზეპირსიტყვიერების რუბრიკით წარმოდგენილია ლექსები (სამგლირო, ნადირობისა, საისტორიო, შრომის, საყოფაცხოვრებო, სატრფიალო და ა. შ.), ანდაზები, გამოცანები, თქმულებები, ეპიკური ციკლები, ზღაპრები (ამირანი, ეთერიანი, ტარიელიანი, ბეჟანიანი და სხვა), ბოლოს კი — საბჭოთა ფოლკლორის ნიმუშები.

თანამედროვე მთქმელები უმეტესად საკოლმეურნეო ცხოვრებას, დიად კომუნისტურ პარტიას.

კრებულის მესამე ნაწილი — შენიშვნები და საძიებელები დიდი მონდომებით, სიყვარულითა და საკითხების ღრმა ცოდნით არის შედგენილი. მკვლევარს მეტად შრომატევადი სამუშაო შეუსრულებია. აქ დაინტერესებული მკითხველი იპოვნის ყველა ცნობას მისთვის საინტერესო ტექსტის შესახებ.

ასეთ დიდ შრომას უდავოდ ნაკლიც ექნება, მაგრამ ასეთი რამ ცალკეული შემთხვევებია და საერთოდ კრებული ახალი, მნიშვნელოვანი მონაპოვარია ქართულ ფოლკლორისტიკაში.

ნაკლად მიგვაჩნია კორექტურული შეცდომები, რომლებიც წიგნში საგრძნობლად არის გაბარული. ტექსტების ძირითად განყოფილებაში დაბეჭდილია ზოგიერთი მეტად სუსტი ლექსი.

კრებულში ჯერ წარმოდგენილია ძველი სალდათების, ციხისა და ყაჩაღების შესახებ შექმნილი ლექსები და შემდეგ კი საწესო, სამგლოვიარო და სასულიერო პოეზიის ნიმუშები, ეს კი არ შეესაბამება ისტორიულ-ქრონოლოგიურ პრინციპს, რომელიც სარეცენზიო კრებულშია გატარებული.

მკვლევარი ტექსტების ძირითად განყოფილებაში ზოგჯერ ტოვებს მთქმელების მიერ შეცდომით ნახმარ ისეთ გამოთქმას, რომლებიც აზრს ამახინჯებს. მაგალითად: „მშვიდი ტყვე ვიყავ, დედაო, არ მილახია ქვეშანი“. უნდა იყოს: „შვიდ წელს ტყვედ ვიყავ დედაო...“; „დიაცის დაწუნებულსა ტირილი გინდა, ხან ძილი“; უნდა იყოს: „დიაცის დაწუნებულსა, ტირილი გინდა, ბან ძილი“. „დედოფალ პირსა იბურავს, როგორც უმტვერო ნაქარი“; უნდა იყოს „როგორც უმტვერო ნაქარი“. ეს უკანასკნელი სტერეოტიპული გამოთქმაა და ნიშნავს სუფთა, უბიწო თოვლს. „სამართულებ გზა მასწავლეს“, უნდა იყოს „სამთურო გზა მასწავლეს“. მთური სოფლის სახელია, იგი არაერთხელ გვხვდება სხვა ხალხურ ლექსებშიც. „რთვილ-რთვილზე წამეპარა“, უნდა იყოს: „თვირთვილზე წამეპარა“. მთიულეთში „რთვილის“ ნაცვლად „თვირთვილს“ ამბობენ.

ამგვარი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეს ცალკეული შეცდომებია და ძირითადად კრებული მოწონებას იმსახურებს.

აკოლონ ცანავა,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

პოეტ ვ. ტერიანის სახლ-მუზეუმში

შარშან ბოლნისის რაიონის სოფელ განძაში გაიხსნა დიდი სომები რევოლუციონერი პოეტისა და სახელმწიფო მოღვაწის ვაჰან ტერიანის სახლ-მუზეუმი.

სახლ-მუზეუმის გახსნიდან დღემდე მცირე ხანმა განვლო, მაგრამ ეს პატარა ქოხი, სადაც 1885 წელს დაიბადა მ. გორკის თანამედროვე და მეგობარი ვაჰან ტერიანი, ღირსშესანიშნავ დასათვალიერებელ ადგილად იქცა.

სახლ-მუზეუმის თანამშრომლებმა მოკლე დროში შეაგროვეს და გააფორმეს ვ. ტერიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მრავალი ექსპონატი და საყურადღებო დოკუმენტი.

ექსპონატების შეგროვების საქმეში სახლ-მუზეუმს ეხმარებიან არა მარტო პოეტის ახლო ნათესავები და მეგობრები, არამედ საქართველოსა და სომხეთის ზოგიერთი დაწესებულება და მუზეუმი. განსაკუთრებით დიდი დახმარება აღმოგვიჩინეს სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის მუზეუმის თანამშრომლებმა, სადაც გადავიღეთ ჩვენთვის საჭირო მასალებისა და ფოტოსურათების ასლები.

სახლ-მუზეუმის ექსპონატთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავიათ ვაჰან ტერიანის მიერ შედგენილ ლექსიკონს „ვეფხისტყაოსნის“ სომხური თარგმანისათვის, სტატიას აკაკი წერეთლის შესახებ და თარგმანს მისივე „კინტოდან“, სტატიას ნ. მარის შესახებ და ნ. მარის სტატიას ვ. ტერიანის შესახებ.

მდიდარი მასალების ბაზაზე მუზეუმის თანამშრომლები ავსებენ ექსპოზიციას, რომელშიც ვ. ტერიანი წარმოდგენილი იქნება როგორც პოეტი და როგორც სახელმწიფო მოღვაწე. ექსპოზიცია შედგება ორი ნაწილისაგან: ლიტერატურული განყოფილება და სახელმწიფო მოღვაწეობის განყოფილება.

მალე მუზეუმის შესასვლელში დაიდგმება პოეტის ძეგლი. მუზეუმის დაკვეთით პოეტის პორტრეტზე მუშაობს სახალხო მხატვარი მ. სარიანი.

ს. პასარგიანი,
სახლ-მუზეუმის დირექტორი.

საბჭოთა მთავრობის ნოტები

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობებისადმი

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ 30 მარტს მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ი. კენიგი და გადასცა საბჭოთა მთავრობის ნოტა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისადმი საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირისა და უმაღლესი დონის თათბირის შესახებ.

სსრ კავშირის მთავრობა კმაყოფილებით აღნიშნავს თავის ნოტაში, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მოითხოვს დაუყოვნებლივ დაიდოს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან და მოისპოს საოკუპაციო რეჟიმი დასავლეთ ბერლინში.

საბჭოთა მთავრობა აღნიშნავს, რომ იგი კმაყოფილებით შეხვდა იმას, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მხარი დაუჭირა საბჭოთა წინადადებას იმის შესახებ, რომ მოიწვიონ მთავრობათა მეთაურების თათბირი ყველაზე მომწიფებული საერთაშორისო საკითხების განსახილველად. საბჭოთა მთავრობა ცნობად იღებს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მზად არის მონაწილეობა მიიღოს მთავრობათა მეთაურების თათბირში და საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირში გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისა და დასავლეთ ბერლინის საკითხთა განხილვის დროს.

31 მარტს ა. ა. გრომიკომ მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში კ. ხ. კნოკე და გადასცა საბჭოთა მთავრობის ნოტა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისადმი იმავე საკითხზე.

ნოტაში ყურადღება ექცევა იმას, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას, აღმოჩნდა რა იმ ფაქტის წინაშე, რომ მიღწეულია თანხმობა დიდ სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკების მოწყობის შესახებ მომწიფებულ საერთაშორისო პრობლემებზე, „არ შეუწყვეტია ცდა ამ მოლაპარაკების დაწყებამდე წინასწარ გაეძნელებინა იგი არასაპირო პოლემიკითა და უნიადაგო საყვედურებით“. საბჭოთა მთავრობას მხედველობაში აქვს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის 26 მარტის ნოტის მტკიცებანი, რომლებიც ამახინჯებენ საბჭოთა კავშირის პოზიციას გერმანიის საკითხში და ბერლინის შესახებ. (საკდესი).

ყოველი მხრიდან

ერთადერთი სწორი გზა

ბუქარესტი, 31 მარტი. (საკდესი). „ერთადერთი სწორი გზა“ — ასე აფასებს გაზეთი „რომინია ლიბერა“ წინადადებებს, რომლებსაც შეიცავს საბჭოთა მთავრობის განცხადება ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის (ნატო) საბჭოს მორიგ სესიასთან დაკავშირებით. შეტანა რა წინადადება — დაიდოს ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციას შორის, აღნიშნავს გაზეთი, საბჭოთა მთავრობა ერთხელ კიდევ ადასტურებს თავისი პოლიტიკის თანამიმდევრობას გამოიძებნოს გზები და საშუალებანი მშვიდობის დასაცავად. საბჭოთა წინადადებანი გვიჩვენებენ მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის გზას. სახელმწიფოთა სვლა ამ გზით ერთადერთი სწორი გზაა.

საბჭოთა წინადადებების განხორციელება, ნათქვამია შემდეგ სტატიაში, გამოიწვევდა მნიშვნელოვან ცვლილებას თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის განვითარებაში, ხელს შეუწყობდა ატომსფეროს გაჯანსაღებასა და ხელსაყრელ პერსპექტივებს დასახავდა ზოგიერთი სადავო საკითხის მოწესრიგებისათვის. საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, ხაზგასმით აღნიშნავს დასასრულ „რომინია ლიბერა“, რომ მშვიდობა ევროპის კონტინენტზე უზრუნველყოფილი ვერ იქნება მანამდე, სანამ არ გადაიჭრება ევროპის ცენტრალური პრობლემა — გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისა და დასავლეთ ბერლინში მდგომარეობის ნორმალიზაციის საკითხი.

საბჭოთა მთავრობის განცხადების ტექსტს დღეს აქვეყნებს ყველა ცენტრალური რუმინული გაზეთი. სათაურებში ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ნატო არის აგრესიული იმპერიალისტური პოლიტიკის მთავარი იარაღი.

სოფია, 31 მარტი. (საკდესი). „როგორც ყოველთვის, საბჭოთა კავშირის წინადადებანი ნათელი და კონკრეტულია. ეს იმიტომ, რომ მისი განზრახვა აშკარა და პატიოსანია. იგი ნაკარნახევია ერთადერთი ზრუნვით შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნას მშვიდობა. ამიტომ ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი, მათ შორის ბულგარელი ხალხიც, სავსებით იწონებს ამ წინადადებებს და მტკიცედ მოითხოვს, რომ ისინი მიღებულ იქნენ“, — წერს დღეს გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“ სარედაქციო სტატიაში „ჯანსაღმა გონებამ უნდა გაიმარჯვოს“, რომელშიც კომენტირებულია საბჭოთა მთავრობის განცხადება ნატოს საბჭოს მომავალ სესიასთან დაკავშირებით.

საბჭოთა კავშირი, წერს გაზეთი, დაუცხრომლად იღებს ღონისძიებებს, რათა მიღწეულ იქნას ურთიერთგაგება სახელმწიფოთა შორის და შენარჩუნებულ იქნას მშვიდობა. არ არის ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო მოვლენა, რომლის შესახებ საბჭოთა ქვეყანას კონსტრუქციული წინადადებანი არ შეეტანოს.

სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარეობის მკაფიო გამოვლინებას, განაგრძობს გაზეთი, წარმოადგენს საბჭოთა მთავრობის გამოქვეყნებული განცხადება, რომლითაც იგი კვლავ მოითხოვს დაიდოს ხელშეკრულება ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციას შორის თავდაუსხმელობის შესახებ. ხალხები კარგად გრძნობენ, რომ რაც უფრო კარგად არიან ისინი ორგანიზებულნი, რაც უფრო აქტიურად უწევენ წინააღმდეგობას აგრესიას, მით უფრო ქმედითია მათი პირობები ყოველგვარი სამხედრო ავანტიურის მოყვარულთა დასამშვიდებლად. ამ თავიანთ გულდაჯერებას ისინი მეტწილად უნდა უმადლოდნენ საბჭოთა კავშირის მუდმივ თანამიმდევრულ პოზიციას ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საკითხებში.

გაზეთი „ზემედელსკო ზნამე“ სარედაქციო სტატიაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირს თავისი წინადადებებით არა ერთხელ უჩვენებია, რომ სოციალისტურ სახელმწიფოთა მიერ დადებულ ვარშავის ხელშეკრულებას ზუსტად თავდაცვითი ხასიათი აქვს. სოციალისტური სახელმწიფოები მუშაობენ გრანდიოზული ამოცანების განსახორციელებლად. მათ სურთ ცხადყონ თავიანთი წყობილების უპირატესობა კაპიტალისტური წყობილების წინაშე მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში.

ბონი, 31 მარტი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის ნოტები დასავლეთის სახელმწიფოებისადმი საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირისა და უმაღლესი დონის თათბირის საკითხზე დადებით გამოხმაურებას ეკოვებენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკურ წრეებში. როგორც დპა-ს სააგენტო გადმოგვცემს, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილემ ვენერმა დღეს საბჭოთა ნოტების გამო განაცხადა, რომ მისი პარტია მიესალმება მოლაპარაკების დაწყების შესაძლებლობას. მან მოითხოვა, რომ დასავლეთი მოლაპარაკების მაგიდასთან მივიდეს საკუთარი წინადადებებით და არ დასჯერდეს მარტო საბჭოთა წინადადებების უარყოფას. მხოლოდ ახლა, ვენერის აზრით, იწყება გზის ყველაზე ძნელი უბანი.

ჩინელი ხალხი პატივსა სცემს ნ. ვ. გოგოლის ხსოვნას

პეკინი, 31 მარტი. (საკდესის კორ.) დღეს დიდი რუსი მწერლის ნ. ვ. გოგოლის დაბადების 150 წლისთავის გამო პეკინში გაიმართა ჩინეთის დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კრება. მოხსენება ნ. ვ. გოგოლის შემოქმედების შესახებ გააკეთა ჩინელი მწერლების კავშირის გაგეგობის წევრმა ცაო ძინხუამ. დამსწრეთ უჩვენეს საბჭოთა კინოფილმი „რევიზორი“.

მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებები და საღამოები გაიმართა აგრეთვე ჩინეთის სხვა ქალაქებში.

ნ. ვ. გოგოლის მოთხრობებსა და პიესებს ისეთივე პოპულარობა აქვთ და უყვართ ჩინეთში, როგორც პუშკინის, ლევ ტოლსტოის, ტურგენევისა და სხვა ოუსი მწერლების ნაწარმოებნი. უკვე 20 წელზე მეტია, რაც ჩინეთის ბევრი დიდი ქალაქის თეატრების სცენას არ შორდება გოგოლის უკვდავი კომედია „რევიზორი“. ხლესტაკოვის, ჩიჩიკოვისა და გოგოლის ნაწარმოებთა სხვა გმირების სახელები კარგად ცნობილია ჩინელი მკითხველებისათვის.

გოგოლის ნაწარმოებთა გადათარგმნა ჩინურ ენაზე დაიწყო დაახლოებით 40 წლის წინათ. ჩინეთში ერთ-ერთი პირველი გამოიცა „რევიზორი“, „ტარას ბულბა“, მოთხრობები „ფარაჯა“, „პორტრეტი“ და მთელი რიგი სხვა სატირიკული ნაწარმოებნი. 1935 წელს ჩინურ ენაზე გამოვიდა პოემა „მკვდარი სულები“ — ჩინეთის ლიტერატურის კლასიკოსის ლუ სინის თარგმანით.

გოგოლის განსაკუთრებით ბევრი ნაწარმოები გადაითარგმნა და გამოიცა ჩინეთში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის შემდეგ. სახალხო ხელისუფლების წლებში მრავალთასიანი ტირაჟებით გამოვიდნენ „მკვდარი სულები“, „რევიზორი“, „ხალამიები ხუტორზე დიკანკის ახლოს“, „პეტერბურგის მოთხრობები“, „მაისის ღამე“ და სხვები.

ამერიკელ სამხედრო ხელმძღვანელებს აინტერესებთ ქაშმირი

დელი, 31 მარტი. (საკდესი). პაკისტანის მთავრობას, როგორც გაზეთი „ინდიან ექსპრესის“ კორესპონდენტი სრინაგარიდან იუწყება, სასწრაფოდ გაჰყავს გზატეხელი, რომელიც პაკისტანის ტერიტორიას დაუკავშირებს სტრატეგიულ პუნქტს გილგიტს (პაკისტანის ჯარების მიერ ოკუპირებული ქაშმირის ტერიტორია).

გაზეთის კორესპონდენტი აღნიშნავს ამ რაიონისადმი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხელმძღვანელთა განსაკუთრებულ ინტერესს. ამას წინათ იქ იყო ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის მინისტრის მოადგილე მალკოლმ მაკინტაირი, რომელმაც ამერიკელი და პაკისტანელი ოფიცრების თანხლებით იმოგზაურა გილგიტის რაიონში, სადაც დაათვალიერა აეროდრომი და გზები.

გილგიტში იმოგზაურა აგრეთვე პაკისტანში სამხედრო დახმარების აღმმჩენ ამერიკელ მრჩეველთა ჯგუფის ხელმძღვანელმა გენერალ-მაიორმა უოლტერმა.

ლაინუს პოლინგის განცხადება

ნიუ-იორკი, 31 მარტი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი სან-ფრანცისკოდან იუწყება, გუშინ აქ პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა ცნობილი ამერიკელი მეცნიერი დოქტორი ლინუს პოლინგი, რომელმაც განაცხადა, რომ თუ ატომგულის იარაღის გამოცდა გაგრძელდა, დაზარალებულთა რიცხვი ახლანდელ დონესთან შედარებით შეიძლება შვიდჯერ გადიდდეს.

პრეს-კონფერენციის შემდეგ ლაინუს პოლინგმა სიტყვა წარმოთქვა სადილზე ორთოფსიქიატრების ამერიკის ასოციაციაში. მან აღნიშნა, რომ ატომის ენერგიის კომისია სავსებით პატიოსნად როდი აფასებს ადამიანის ჯანმრთელობაზე რადიაქტიური დაბინძურებისგან მიყენებულ ზიანს. ეს ზიანი, ამბობს მეცნიერი, ბევრ ადამიანს ეხება